ალია

50 თეთრი
გამოდის:
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია

N63 (3379) 8 ივნისი 2016 წ ფასი 50 თეთრი
ორშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# ეს იქნებ ვინმემ ჩააგონოს ივანიშვილს, თორემ ველარ გავიგე, ეს კაცი ან ჭურში ზის, ან შეგნებულად გვატყუებს... 3

**რა აბსურდები ილაპარაკა ბიძინა ივანიშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე...**



## ჟან-პიერ ული: საქართველო არც ვიზალიბერალიზაციის ღირსია და არც ნატოს წევრობის



2



მოვენატრებითო, დაგვემუქრა და კმაყოფილი ვარო, თავიც შეიქო... დარწმუნებული ხართ, ბატონო ბიძინა?!

2

## „პროკრედიტ ბანკი“ სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლებულ თანამშრომელს 31 602 ლარს გადაუხდის




11

# რას დაპირდა განათლების ახალი მინისტრი „აუდიტორია 115“-ელებს და რას აპირებენ, თუკი მინისტრმა პირობა არ შეასრულა? 13

ლევან ლორთქიფანიძე: „მერე არ თქვას ვინმემ, რომ ეს ადამიანები „ნაციონალებმა“, ან სხვა რომელიმე პარტიამ დაქოქა...“



## მეგი გოცირიძის ლექსი „დიდ ბელადს“



6

## უპრეცედენტო ფაქტი — ბანკიდან მეანაბრის კუთვნილი 2 მილიონი გაქრა




10

# ჰანს-პეტერ ული: საქართველო არც ვიზალიბერალიზაციის ღირსია და არც ნატოს წევრობის



„ამჟამად საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი და ნატოს წევრობა ნაადრევია. ვიზალიბერალიზება უკონტროლო მიგრაციის ზრდას გამოიწვევს, მომრავლდება თავშესაფრის მსურველთა რიცხვი, გაიზრდება დამნაშავეობის დონე, ნატოში მიღება კი რუსეთთან დაპირისპირებას გამოიწვევს", — ამბობს იგი. (newpress.ge)

„საქართველოდან გერმანიაში სულ უფრო მეტი ბანდიტები შემოდიან, თუმცა, ამის მიუხედავად, ევროკავშირს სურს საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი დააწესოს. გერმანიაში კი ამ სავარაუდო გადაწყვეტილებისადმი წინააღმდეგობა იზრდება", — ასე იწყება გაზეთ „ბილდში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ვიზალიბერალიზებასთან დაკავშირებული სიტუაციაა მიმოხილული და გერმანელი ექსპერტების კომენტარებია გადმოცემული (ავტორი — ფრანც ზოლმს-ლაუბახი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" სტატიის რეზიუმეს ავრცელებს:

როგორც გერმანელი ექსპერტები ამბობენ, ევროკომისიისაგან განსხვავებით, უპირველეს ყოვლისა, გერმანიამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ პრობლემას, რომელსაც ქვეყანას ქართველებს შორის დამნაშავეობის მაღალი დონე უქმნის. ექსპერტ არმინ შუსტერის აზრით (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი): „ქართველი იმიგრანტები, სხვებისაგან განსხვავებით, ძალიან ღრმად არიან ჩაბმულნი ორგანიზებულ დამნაშავეობაში. ახლა რომ ჩვენ უვიზო რეჟიმი შემოვიღოთ, კრიმინალური სიტუაცია კიდევ უფრო გაურესდება".

პუბლიკაციიის ავტორი სარგებლობს ფედერალური სისხლის სამართლის პოლიციის სტატისტიკური მონაცემებით, რომელთა თანახმად, გასულ 2015 წელს გერმანიაში მომხდარი ძარცვის 167 ათასი ფაქტიდან ყველაზე მეტი „ქართულმა მაფიოზურმა დაჯგუფებების წევრებმა" ჩაიდინეს. „ბილდის" კორესპონდენტთან საუბარში პოლიციის წარმომადგენელი ანდრე შულცი ამბობს, რომ „დამნაშავეთა უკან ქართული მაფიის მოქმედება იკვეთება, რომელიც გერმანიაში ქურდებს მიზანმიმართულად აგზავნის. აქ ჩამოსვლის შემდეგ ისინი თავშესაფრის მიღებას ითხოვენ და სანამ მათი თხოვნა იხილება (8-12 თვის განმავლობაში), ქურდობენ და დანაშაულს სჩადიან. იგივე მოქმედებით არიან დაკავებულნი აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული პირებიც. გერმანია ქურდებისა და ბინის მძარცველებისათვის სამოთხის მსგავსი მიმზიდველი ქვეყანაა. ჩვენ ევროპის ყველაზე მდიდარი ქვეყანა ვართ და ეს ფაქტორი უცხოელ ქურდებზე მაგნიტივით მოქმედებს".

ექსპერტი ჰანს-პეტერ ული (ქრისტიან-სოციალური კავშირი) თავის მსჯელობაში კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ საქართველო ნატოში მიღების ღირსიც არ არის:

**● აი, ამ უგერგილო ბლუწუნს რომ მოისმენ ადამიანი, არ არის გამორიცხული, სამუდამოდ გული აგიცრუვდეს მხოლოდ ევროპაზე კი არა, მთელ მსოფლიოზე, თუმცა ამ სტატიაში აშკარად მხოლოდ ქართველთმოძულე ტიპების მსჯელობაა და თუ დასაწყისში შეგაშფოთეთ, ახლავე შევეცდებით, ცოტათი მაინც დაგამშვიდოთ. ამისთვის კი გერმანიის „შუსუსუს“ მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას მოვიშველიებთ, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ იმ 25 ქვეყნის მოქალაქეებს შორის, რომლებმაც ფედერაციულ რესპუბლიკაში დანაშაული ჩაიდინეს, საქართველო ბოლოდან 24-ე ადგილზეა.**

**უფრო მეტიც, კრიმინალში ქართველებს ევროპელებიც კი „უჯოკრავენ“ და შესაბამისად, შუსტერი სულ შტერობებს ლაპარაკობს: გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, კრიმინალური ქმედებების მხრივ ლიდერობენ სირიელები, მეორე ადგილზეა თურქეთი, მესამეზე კი — ავღანეთი. მეოთხე და მეხუთე ადგილებს ევროკავშირის ქვეყნები რუმინეთი და პოლონეთი იკავებენ. ასევე, ჩვენზე წინ ყოფილა იტალია და ბულგარეთი.**

**როგორც ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა მინისტრები საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესების საკითხზე 10 ივნისს იმსჯელებენ. რა გადაწყვეტილებას მიიღებენ პატივცემულები, ყველა ერთად გავიგებთ და იმედია, ჩვენს ქვეყანას მოლოდინი გაუმართლდება, თუმცა თუ უარი გვითხრეს, რას ვიზამთ, ეს ნამდვილად არ იქნება დასავლეთელების პირველი და უკანასკნელი ტყუილი.**

**ისე, ძალიან რთული მისახვედრი კია, რატომ იქცევიან ასე მამაძაღლურად — რაღაცას დაგვპირდებიან, გადაგვრევენ და მერე დაიწყებენ ხოლმე უაზრო მიზეზების ბრახუნს. თან ისიც გასაგიჟებელია, რომ ცალ-ცალკე ყველა ხოტბას გვასხამს — რაც საჭირო იყო, ის შეასრულეთ, ყველაფერი კარგად არის, გეკუთვნით, მაგრამ... არ გეკუთვნითო.**

**დიდად პატივცემულო ევროპელებო — თუ არ გვეკუთვნის, ნუ გვპირდებით, თუ გვეკუთვნის — შეგვისრულეთ. თუ გვიწესებთ უვიზო რეჟიმს, დაგვიწესეთ, თუ არ გვიწესებთ, ერთი მაგის დედაც ვატირე — დაუკარით, უპატარძლო ქორწილიააა!!!**

# გიორგი ვაშაძეს ბავშვები მოატყუებია — ექსკურსიაზე მიდიხართო და... აქციაზე მიუყვანია



წალკის №2-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლების განცხადებით, 5 აპრილს, დაახლოებით 9 საათზე მათი შვილები შეკრიბეს და მოტყუებით „ახალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ვაშაძის პარტიის პრეზენტაციაზე წაიყვანეს. აღნიშნულის შესახებ „აიპრესს" სკოლის მოსწავლეების მშობლებმა განუცხადეს.

როგორც ერთ-ერთი მშობელი მერაბ ბოლქვაძე აცხადებს, მან შვილისგან შეიტყო, რომ ექსკურსიაზე აპირებდა წასვლას. დილით თანაკლასელებთან და სხვა ბავშვებთან ერთად შეკრების შემდეგ გაირკვა, რომ ექსკურსიის ნაცვლად, ისინი გიორგი ვაშაძის პარტიის პრეზენტაციაზე დასასწრებად მიჰყავდათ. უცნობია, ვინ იდგა ამ ფარული შეკრების უკან, თუმცა როგორც სკოლის მოსწავლეები და მშობლები აცხადებენ, ისინი ხალხის მასის გაზრდისთვის გამოიყენეს.

– ჩემი შვილი მეათე კლასის მოსწავლეა. დილით მოტყუებით წაიყვანეს ბავშვები და ღამით დააბრუნეს. მე ეს ყველაფერი არ ვიცოდი. ბავშვს ტელეფონიც არ



ჰქონდა ჩემთვის რომ დაერეკა. ვერ გეტყვით ზუსტად რამდენი ბავშვი იყო, მაგრამ ვიცი, რომ მათთან ერთად მისი თანაკლასელები და უფროსი კლასის მოსწავლეებიც იყვნენ. როცა თბილისში ჩავიდნენ, მაშინ შეიტყვეს, რომ პრეზენტაციაზე მიჰყავდათ.

როგორც შვილმა მითხრა, უბრალოდ სურდათ, რომ ხალხის რაოდენობა ბევრი ყოფილიყო და ამ მიზნით ჩართეს ბავშვები პოლიტიკაში. დაახლოებით ორი სამარშუტო ტაქსით იყვნენ ბავშვები. დილით 9 საათზე დაიწყეს შეკრება და 11-ზე დაასრულეს. აღნიშნულის შესახებ მხოლოდ საღამოს გავიგე, როდესაც სამსახურიდან სახლში დავბრუნდი. მომხდარის შესახებ ოჯახის არც ერთმა წევრმა არ იცოდა. მიმაჩნია, რომ წინასაარჩევნო პროცესში ბავშვების გამოყენება დაუშვებელია და ბავშვების მოტყუება, მითუმეტეს არასრულწლოვნების არასწორია და აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებლად მოვახდენ რეაგირებას, - აცხადებს მერაბ ბოლქვაძე. (ipress.ge)

# მოგენატრებითო, დაგვემუქრა და კმაყოფილი ვარო, თავიც შეიქო... დარწმუნებული ხართ, ბატონო ბიძინა?!



ნატოელებმა რომ იციან ხოლმე დაბრეხვება, ხომ იცით: ბევრი ნატო საქართველოსო, მგონი, მაგ გზას დაადგა ყოფილი პრემიერიც: ბევრი ბიძინა ივანიშვილი საქართველოსო – ჯერ იყო და წერილი მოგვწერა, მერე ვნახეთ მისი ინტერვიუ სალომე ასათიანთან და აგერ, გუშინ „ტელევიონშიკებსაც“ შეხვდა.

„ია პომნიუ ვაშუ გადაცემუო“ - უთხრა კვესიტაძეს და მიჭირხვნა კიდეც, დანარჩენებს დაუყვავა, ზოგს ეკამათა, არც ჭკუის დარიგება დაიშურა ჟურნალისტიან-ხალხიანად და მოკლედ, ახლოვდება არჩევნები და იმის გათვალისწინებით, რომ „ქართულ ოცნებას“ ნამეტანი საშინლად აქვს საქმე, ივანიშვილი ცდილობს, ელექტორატმა ისევ ერთი კაცის ხათრით მისცეს ხმა მთელ პარტიას. მისი მუქარაც აშკარად ამაზე მეტყველებს — თუ ისე არ იქნება, როგორც საჭიროა, მოგენატრებითო, აბაა?!..



შეხვედრის შეფასებისას ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას მედიამ საშუალება მისცა, ბოლომდე გახსნილიყო.

**„შეიძლება, დარჩა რაღაც კითხვები, მაგრამ მაქსიმალურად საინტერესო კითხვები დაისვა, მრავალფეროვანი. სხვადასხვა ჟურნალისტები განსხვავებულ კითხვებს სვამდნენ. ვფიქრობ, მეც მოწოდების სიმაღლეზე ვიყავი და კარგად ვპასუხობდი“.**

მოწოდების სიმაღლეზე როდის იყავით, ბატონო ბიძინა იცით? აი, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში ხალხის დახმარებით რომ დაიფრინეთ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ როგორც კი კოჰაბიტაციის რეჟიმი გააქტიურდა, მოწოდებაც დაკარგეთ, სიმაღლეცა და უამრავი ადამიანის მხარდაჭერაც.

**„ასეთი ხელისუფლება რომ გვყავს, ასეთი გუნდი რომ მოვიდა, ამას უნდა შეფასება. თუ ამას საზოგადოება ვერ გაიგებს და ჩემს ნათქვამს და ჩემს არგუმენტირებულ დახასიათებას არ მიიღებს, ეს იქნება ჩემთვის საზომი. როგორც კი ვხედავ, რომ მიუხედავად ჩემი პოზიციისა, მიუხედავად ჩემი ანალიზისა, ეს საზოგადოებამ არ გაიზიარა და არჩევნებში დაფიქსირდა აბსოლუტურად განსხვავებული შედეგი, აი, გარწმუნებთ, რომ მოგენატრებით, ვეღარ მნახავთ ტელევიზიით, რა“.**

ვაახ, ბატონო ბიძინა, თქვენ ხომ ისეთი დემოკრატიის აშენებას გვპირდებოდით, ევროპა რომ გადაირეოდა და თუ ერთ კაცს არ მიათხოვდა მთელი ქვეყანა, რატომ უნდა გეწყინოთ, ეგ როგორი დემოკრატიაა? რა, არ უნდა გვქონდეს საკუთარი საზომი ან საკუთარი აზრი კონკრეტულ საკითხებზე? მაგალითად, იმ საკითხზე, რომ შეცდით თანამოაზრეების შერჩევაში — აკი თავად თქვით, „პრეზიდენტი ხშირად ასხამს წყალს „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე, მაგრამ მათთვისაც არ არის დიდად სასარგებლოვო“.

სწორედ თქვენი ხათრით მისცა ხმა ამომრჩეველმა მარგველაშვილს და იმათაც, ახლა მთავრობაში რომ იკავებენ ადგილებს, მაგრამ ჰოი, საოცრებავ – მადლობა უნდა ვუხადოთ მთავრობის წევრებს, რომ თანამდებობებზე რჩებიან:

**„ვისაც არ მოეწყინება დღეს, ნებისმიერ ბრუნვაში აკრიტიკებენ, ლანძღავენ და მთავრობის ძალიან ბევრი წევრი ხათრით არის იქ შერჩენილი, რომ იცოდეთ და მხოლოდ იმ ენთუზიაზმით, რომ საკუთარ ქვეყანას დაეხმაროს“.**

ღმერთმა გაუმარჯოთ, თუ მხოლოდ ენთუზიაზმის გამო არიან მინისტრები, კაცო! ეგენი ყოფილან არსენა ოძელაშვილები, თუ მხოლოდ ხათრის გამო იყენებენ მინისტრების პრივილეგიებს!

ისე, კრიტიკაც ხომ დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია, ჩემო ბატონო და რატომ არის ეს ამბავი ასე საწყენი, რატომ უნდა მოვიხადოთ ბოდიში, როცა რამე არ მოგვეწონება და ჩინოვნიკს გავაკრიტიკებთ, ჰა? ვინც თქვენც გადიდებთ და მინისტრებსაც არ აკლებს დითირამბებს, ისედაც ხომ საკმაოდ მრავლად არიან და მხოლოდ ქებამ გარყვნა იცისო, ჭკვიან ხალხს უთქვამს. ჰოდა, პირიქით, კრიტიკოსებს მადლობა ეკუთვნით, ბატონო ბიძინა!

რადგან ეს ბოლო დღეები „ბევრი ივანიშვილი საქართველოს“ მომსწრეები ვართ, თავს აღარ შეგაწყენთ, თუმცა დასასრულისკენ ისევ წასვლის მუქარას დავუბრუნდებით — მოსულიც ბევრი გვინახავს ამ ქვეყანაში და წასულიც, უსაზღვროდ ცუდი კი ის არის, რომ სამწუხაროდ, ამით ხალხისთვის არაფერი შეცვლილა...

# ეს იქნებ ვინმემ ჩააგონოს ივანიშვილს, თორემ ვეღარ გავიგე, ეს კაცი ან ჭურში ზის, ან შეგნებულად გვატყუებს...

## რა აბსურდები ილაპარაკა ბიძინა ივანიშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე...


ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

გუშინ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და დღესაც ქვეყნის დე ფაქტო მმართველმა, ბიძინა ივანიშვილმა, წამყვანი ტელეკომპანიების ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა, რომელიც 2.5 საათს გაგრძელდა. ცხადია, ყველა საკითხს აქ ვერ მიმოვიხილავთ. აქცენტს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გავაკეთებთ, რომელიც საზოგადოების ინტერესებისთვის უფრო მნიშვნელოვნად მოგვაჩნია.

პრესკონფერენციის დასაწყისში ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე წუთი ისაუბრა და ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ თქვა: **„დემოკრატიული ღირებულებები რომლებიც შეიძლება ევროპის ქვეყნებსაც კი შევადაროთ... დემოკრატიული ღირებულებები ყველაფერი მორგებულია ადამიანის უფლებებზე... ამ მხრივ, მე ვფიქრობ, ის რეიტინგი, რაც ჩემს წერილში მოვიშველიე და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, ვეჯიბრებით იქ იტალია, საბერძნეთი და ასე შემდგომ. იქ იტალია და ბალტიისპირეთის ქვეყნებიც მყავს მოხსენიებული და ახლოს ვართ ღირებულებებით, დემოკრატიული ინსტიტუტებით განვითარებულ ევროპულ ქვეყნებთანაც“.**

ანუ, შესავალი სიტყვა ჩვენი „დაბოლებით“ დაიწყო ბიძინა ივანიშვილმა. კი, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვად რა მიაჩნია ივანიშვილს? კონსტიტუციით საქართველოს მოქალაქეს აქვს სიცოცხლის ხელშეუვალი უფლება, მაგრამ ყოველწლიურად ჩვენში 300 ბავშვი კვდება შიმშილით. ეს არ არის ადამიანის უფლებების ხელყოფა და ასე ვედრებით ევროპულ ქვეყნებს? ხალხს პურისა და წამლის ფული არ აქვს და ეს არ არის ადამიანის დარღვეული უფლებები? ასე ცხოვრობენ ევროპაში? მაინტერესებს, იტალიელები ნაგვის ურნებში ეძებენ ლუკმაპურს? კარგით რა, ბატონო ბიძინა, ამ ქვეყანაში ხალხს პატრონი არც ჰყოლია და არც ჰყავს, არც მათ უფლებებს იცავს ვინმე.

**„2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, გაუმჯობესდა. მე ეს აღწერილი მაქვს“, – პასუხობს კითხვაზე ბიძინა ივანიშვილი.**

კარგით რა, ბატონო ბიძინა, მესმის, რომ 2012 წელს წინასაარჩევნოდ, უამრავი დაპირება დაახვავეთ და თქვენ მიერვე დაგებული ხაფანგიდან დაძრომას ცდილობთ, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. მე და ჩემს გარშემო უამრავ ადამიანს, რატომ არ გვეტყობა, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება? 4 წლის წინათ 100 ლარად ოჯახისთვის საჭირო სურსათს რომ ვყიდულობდი, ახლა იმავე რაოდენობის სურსათში 150-170 ლარი მჭირდება. 3-4-ჯერ გაძვირდა წამლების ფასი ამ 4 წელიწადში, გაძვირდა ტრანსპორტით მგზავრობის საფასური, მუნიციპალურის გარდა... ჰოდა, ეგ ამბავი, რომ 2012 წელთან შედარებით ხალხის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, თქვენი გუნდის წევრებს მოუყევით, ეგენი ტაშს ნამდვილად დაგიკრავენ.

> **კარგით რა, ბატონო ბიძინა, მესმის, რომ 2012 წელს წინასაარჩევნოდ, უამრავი დაპირება დაახვავეთ და თქვენ მიერვე დაგებული ხაფანგიდან დაძრომას ცდილობთ, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. მე და ჩემს გარშემო უამრავ ადამიანს, რატომ არ გვეტყობა, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება?**

„მთავრობის ძალიან ბევრი წევრი ხათრით არის იქ შერჩენილი, რომ იცოდეთ და მხოლოდ იმ ენთუზიაზმით, რომ საკუთარ ქვეყანას დაეხმაროს“, – აი, ამას ამბობს კაცი, რომელიც წელიწადნახევარი ოფიციალურად მართავდა ქვეყანას და დღეს არაოფიციალურად მართავს. მკითხველს განვუმარტავ, რომ ეს ხათრით შერჩენილი და შერჩეული მთავრობის წევრები მინისტრები და მინისტრის მოადგილეები არიან. მერე და ამ ხათრით მომუშავე მთავრობის ერთი წევრის შენახვა, იცით, რამდენი გვიჯდება, ბიძინა ბატონო? 5 000 ლარს ხომ ხელფას ვუხდით და მინიმუმ, ორ მაგდენსაც ვახარჯავთ თვეში – მდივანი, თანაშემწე, მძღოლი, მათი ხელფასები, პერსონალური ავტომობილი, მისი საწვავი, მობილურით საუბარი და კიდევ ათასი ოხრობა და ჯანდაბა. არ მინდა, ბატონო, ეს ხათრით მომუშავე მთავრობის წევრები, რომლებიც ვერაფერს აკეთებენ. თუ თავი გაქვთ, მოიყვანეთ უხათრო და უნარიანი ხალხი და ისინი დანიშნეთ თანამდებობებზე, თუ არადა დაანებეთ თავი ამ ქვეყნის მართვა-გამგებლობას, დაჯექით იმ „შუშის“ სასახლეში და ხალხი როგორმე უთქვენოდ გადაწყვეტს, ვინ დანიშნოს მთავრობის წევრებად.

„რაც შეეხება რეგიონალურ ხელისუფლებას, დაგეთანხმებით, რომ კვალიფიკაციის პრობლემა გვაქვს და უნდა იყოს კიდეც. გუნდის ბევრი წევრი იყო წინააღმდეგი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის, რომელიც კბილებით გავიტანეთ. დღესაც ძალიან ბევრი შფოთავს, რომ გამგებელს ვერაფერს მოუხერხებ და არაფერი ესმის, თან ამ დროს არაფერი იცისო. საიდან გინდა მოიყვანო ამდენი მცოდნე გამგებელი?.. აკლიათ კვალიფიციურობა, მართვის გამოცდილება არ აქვთ და არ იციან ეკონომიკა. დღეს მთავრობა არის მაქსიმალურად ხალხის სამსახურში. ადრე იყო მთავრობა, რომელიც გვიმსახურებდა მთელ საზოგადოებას, დღეს გვყავს მთავრობა, რომელსაც ხალხი აკონტროლებს, ხალხს უსმენს და ვერავინ იტყვის, რომ კორუფციააა“.

ეს ივანიშვილის პასუხია მორიგ კითხვაზე. აბა, ნახეთ, ამ ერთ პასუხში რამდენი, რბილად ვიტყვი, აბსურდია. თურმე, რეგიონებში კადრებთან დაკავშირებით კვალიფიკაციის პრობლემაა და ასეც უნდა იყოს. კაცო, მე ვიცი, რომ საჯარო სამსახურში თუ ბიზნესში, ადამიანს კვალიფიკაციის პრობლემა თუ აქვს, მას ან კვალიფიკაციას უმაღლებენ, ან სახლში უშვებენ. ივანიშვილი გაიძახის, კვალიფიკაციის პრობლემაა და იყოს, დარჩნენო. რატომ უნდა იყოს, ასწავლეთ ამ უცოდინარ კადრებს რეგიონებში, ჩაუტარეთ ტრენინგები და აქციეთ რა, კვალიფიციურებად, რატომ უნდა იყვნენ ეგეთი შტერები საჯარო სამსახურებში, სანამ „ქართული ოცნება“ არ წავა ხელისუფლებიდან და უკან არ გაჰყვებიან? რატომ უნდა ვიხადოთ მაგ შტერების ხელფასი, რა, რაიმე გვმართებს მათი?

ივანიშვილი მიზეზს არ ასახელებს, რატომ სჭირს ქვეყანას ეს უბედურება. ეს უცოდინარი გამგებლები და სხვა საჯარო მოხელენი რეგიონებში იმიტომ მომრავლდნენ, რომ მათი ნაწილი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატების დანიშნულია და ნაწილი – „ქართული ოცნების“ რაიონული ოფისის ხელმძღვანელებისა. ამ ხალხის ნათესავებითა და მეგობრებით არის გაჭედილი გამგეობები და იმიტომაც დგას ასე მწვავედ რეგიონებში კვალიფიციური კადრების პრობლემა. არადა, კვალიფიციური ადამიანებით სავსეა ქვეყანა, არც გამოცდილება აკლიათ, მაგრამ მათ ივანიშვილი და მისი გარემოცვა ახლოს არ იკარებს. რატომ? არ არიან „ქართული ოცნების“ მეხოტბენი, უვაზელინოდ ერთ ადგილას არ ეტენებიან არავის, არც გავლენიანი ნათესავები ჰყავთ და არც მეგობრები. ეს ხალხი უსაქმოდ ზის სახლში და მათით 4 წელია არავინ დაინტერესებულა. მათ შორის ბევრია ისეთი, 2012 წელს „ნაცმოძრაობის“ დაფრენაში რომ დიდი წვლილი შეიტანა, მაგრამ მერე ისინი გვერდზე გასწიეს, დაივიწყეს და ახლობლები დააწინაურეს, ის ხალხი, ვინც „ნაცების“ ზეობისას შიშით სახლებში იმალებოდა. მოკლედ, ნეპოტიზმი ყვავის და ეს იქნებ ვინმემ ჩააგონოს ივანიშვილს, თორემ ვეღარ გავიგე, ეს კაცი ან ჭურში ზის, ან შეგნებულად გვატყუებს.

ჟურნალისტებთან შეხვედრას ისე არ ჩაუვლია, რომ ივანიშვილს ლევან მურუსიძის შესახებ ერთხელაც არ დაეფიქსირებინა აზრი: „ყველაზე დიდი ტრაგიზმი იყო გირგვლიანის თემა, თუმცა მკვლელობები სხვაც მოახერხა ხელისუფლებამ. მინდა ქრონოლოგიურად მივყვე. რამდენიმე წლის წინ მურუსიძე სასამართლოში მეორედ აირჩიეს, თუმცა მაშინ ხმაური არ აუტეხავს არავის, არც „რუსთავი 2“-ს, არც „ენჯეოებს“, ეს თემა „ნაციონალური მოძრაობის“ აწეულია. მათ რიცხვში, პრეზიდენტიც ხშირად მათ წისქვილზე ასხამს წყალს... ბევრი ჩაერთო შემთხვევით ამ საკითხში და ბევრმა დაასხა იმ წისქვილზე წყალი. თემა მათი აწეული იყო და რატომ? ეს ხელწერა მათია. რატომ მაშინ არ აგინებდნენ, მეორე თანამდებობა რომ მისცეს?! – ალბათ იმიტომ, რომ მათ აღარ ემორჩილება. ახლა წარმოაჩინეს, რომ ყველაფერი ლევან მურუსიძემ გააკეთა და არა იმ სისტემამ, რომელიც მათივე შექმნილი იყო. ეს გუნდი ედავება მას, ვისი მსხვერპლიც იყო სასამართლოც და მურუსიძეც...“, – აი, ეს გახლავთ ივანიშვილის პასუხი მურუსიძეზე.

მოკლედ, ისევ გვიმტკიცებს, რომ ლევან მურუსიძე და სხვა მოსამართლენი სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლნი არიან, კიდევ იმ აზრს გვაგუებს, რომ იმ მოსამართლეებს, რომელთაც ხალხის უზარმაზარი ქონების წართმევაში მიიღეს მონაწილეობა, ათასობით უდანაშაულო ადამიანი ციხეებში გაისტუმრეს, ნებისმიერ პოლიტიკურ დაკვეთას უსიტყვოდ ასრულებდნენ და რეალურად, სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან, პასუხი არ უნდა მოვთხოვოთ. მურუსიძის მთელი დანაშაული კი ის ყოფილა, რომ 6-6 თვე გამოაკლო სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულებს. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენს ჩამოაკლებს? გინდა 1 დღე იყოს. უკანონობა ჩაიდინა? უნდა მოშორდეს სასამართლო სისტემიდან. არც ის დაიჯეროთ, ბატონო ბიძინა, რომ გვეუბნებით, ლევან მურუსიძემ თავი დააღწია „ნაცების“ გავლენას და მას „ნაცები“ ებრძვიანო. ლევან მურუსიძეს, მისი წარსულის გამო, ნორმალურ ქვეყანაში სასამართლო სისტემაში არ გააჭაჭანებდნენ, მეორეც, „ნაცებს“ ან დააღწია თავი და ან – არა. ეგ არის გამყიდველი კაცი და როცა დრო მოვა, გიყელებთ, მიშას ნავში ჩახტება და ღირსიც იქნებით. მურუსიძემ თუ იმ ხალხს უღალატა, რომელთაც გორის რაიონის პროკურორის თანაშემწეობიდან უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აღაზევეს, თქვენ რაღაც გიზამთ? ღალატი ბოზობასავითაა – პირველად ჭირს, თორემ მერე ჩვევასა და მოთხოვნილებაში გადადის...



## „პროკრედიტ ბანკი" სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლებულ თანამშრომელს 31 602 ლარს გადაუხდის



„პროკრედიტ ბანკს" სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლებული თანამშრომლისთვის 31 602 ლარის გადახდა დაეკისრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა ანა მაჩიტაძის სარჩელი. „პროკრედიტ ბანკს" კი მოსარჩელის სასამართლო და წინასასამართლო ხარჯების გადახდა დაევალა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, „პროკრედიტ ბანკი" გათავისუფლებულ თანამშრომელ ანა მაჩიტაძეს კომპენსაციის სახით 31 602 ლარს გადაუხდის, გარდა ამისა, მას სამსახურში აღადგენს - „პროკრედიტ ბანკის" ვაკის სერვისპუნქტში ფიზიკური პირების მრჩევლის თანამდებობაზე.

ანა მაჩიტაძის უფლებადამცველ არჩილ კაიკაციშვილის ინფორმაციით, ანა სამსახურიდან 2014 წლის აპრილში გაათავისუფლეს. გათავისუფლების ოფიციალური მიზეზი პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პიროვნული შეხედულებების შეუთავსებლობა იყო. თუმცა, ადვოკატი აღნიშნავს, რომ საქმის დეტალებიდან რეალური მიზეზი - დასაქმებულის რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია გამოიკვეთა.

სასამართლო პროცესი, რომელიც 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ანა მაჩიტაძის სასარგებლოდ დასრულდა. მოსარჩელე მხარის მიერ დაყენებული ოთხივე მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ამ ეტაპზე ანა მაჩიტაძე და მისი ადვოკატი შესაბამისი დოკუმენტის გამოცემას ელოდება, რომლის საფუძველზეც დაზარალებული ფინანსურ კონპენსაციას აიღებს და სამუშაოსაც დაუბრუნდება.

– სასამართლოს გადაწყვეტილება ერთი თვის ვადაში ჩაგვბარდება. მანამდე ბანკს შეუძლია ანა მაჩიტაძე სამსახურში თავად დააბრუნოს, თუმცა როგორც ჩანს, დოკუმენტაციას ელოდება. ამით კი ე.წ. იძულებითი განაცდური და შესაბამისად, ანა მაჩიტაძისთვის გადასახდელი თანხაც იზრდება, - აღნიშნავს არჩილ კაიკაციშვილი. (bpn.ge)

**● „ალია" ამ თემას ფაქტობრივად, დასაწყისიდანვე აშუქებდა და ძალიან სასიამოვნოა, რომ ბრძოლამ შედეგი გამოიღო და სამართალმა იზეიმა!..**

## ღვინის ექსპორტი 44 პროცენტით გაიზარდა - მსოფლიოს 5 ქვეყანა, სადაც ყველაზე მეტი ქართული ღვინო იყიდება



ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან მსოფლიოს 34 ქვეყანაში ექსპორტირებულია 15 053 106 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 44 პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 35,04 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16 პროცენტით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

საანგარიშო პერიოდისთვის ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთი - 106% (1 242 523), უკრაინა - 73% (1 853 663), რუსეთი - 59% (7 560 974), ბელარუსი - 77% (262 838), ლიტვა - 46% (244 368), პოლონეთი - 30% (835 792), ესტონეთი - 17% (236 496), ყირგიზეთი - 171% (107 646), გერმანია - 31% (141 328), კანადა - 25% (77 100), დიდი ბრიტანეთი - 79% (52 126) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი - 7 560 974 ბოთლი; უკრაინა -1 853 663 ბოთლი; ყაზახეთი- 1 620 046 ბოთლი; ჩინეთი - 1 242 523 ბოთლი; პოლონეთი - 835 792 ბოთლი.

ამასთან, მსოფლიოს 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 3 330 333 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 69 პროცენტით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 7,7 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების - ზრდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35 პროცენტს აღწევს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 61,1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. გასული წლის 5 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 45,5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. (businesscontact.ge)


# აქ თქვენი რეკლამის ადგილია

# 577 44 44 42




## უნდა შეიზღუდოს თუ არა მაღალპროცენტიანი კრედიტების რეკლამა საქართველოში?

მსოფლიო ტენდენციისგან განსხვავებით საქართველოს სარეკლამო ბაზარზე წამყვანი პოზიცია საფინანსო მომსახურების სექტორს უჭირავს. ეს იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში საბანკო პროდუქტების რეკლამირება არც თუ ხშირი მოვლენაა. განვითარებულ ქვეყნებში ბანკებისა და საფინანსო სექტორის რეკლამები ბაზრის ტოპ ათეულშიც კი არ ხვდება. მეტიც: უმსხვილესმა საძიებო ქსელმა „გუგლმა" საკუთარ რესურსებში მაღალპროცენტიანი კრედიტების რეკლამირება აკრძალა.

საქართველოში, როგორც ცნობილია, შეზღუდვები მოქმედებს თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელის რეკლამირებაზე. ადამიანის ჯანმრთელობაზე ამ პროდუქტების მავნე გავლენა მეცნიერულად დადასტურებული ფაქტია და მათი რეკლამების შეზღუდვა სავსებით ბუნებრივია. რაც შეეხება საფინანსო პროდუქტებს, ცხადია, მათი ამ კატეგორიაში განხილვა არ შეიძლება, თუმცა თუკი ფინანსური ორგანიზაცია მომხმარებელს ზედმეტად მაღალპროცენტიან სესხს სთავაზობს გადახდის მკაცრი პირობებით, ეს, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, განვიხილოთ როგორც მაღალრისკიანი პროდუქტი მომხმარებლისთვის. სწორედ ამ ლოგიკით მიიღო „გუგლმა" ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილება. ეს ერთი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის თემაა, მოქალაქეების დაცვის რა მექანიზმი იქნება ქმედითი საქართველოსთვის? ექსპერტებს ამაზე სხვადასხვა მოსაზრება აქვთ. მათი ნაწილი გამოსავალს რეკლამების შეზღუდვაში ხედავს, ნაწილი კი სხვა სახის რეგულაციებში.




„კომერსანტი" ამ საკითხთან დაკავშირებით „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების" ხელმძღვანელ ბექა კემულარიას აზრით დაინტერესდა.

– ვფიქრობ, ამას ჯობია, რომ ამ სეგმენტში ჩაერთოს ეროვნული ბანკი, რეგულირების სფეროში მოაქციოს ონლაინსესხები თუ სხვა მსგავსი პროდუქტები. ეს უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე სატელევიზიო თუ გარე რეკლამების შეზღუდვა, რადგან ასეთ შემთხვევაში საფინანსო ორგანიზაციები სხვა გზებს მაინც გამონახავენ თავიანთი პროდუქციის რეკლამირებისთვის, - აცხადებს ბექა კემულარია.

მისივე განცხადებით, სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მკაცრად კონტროლდება ისეთი სფეროები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებელზე, ძირითადად კი ეს აზარტულ თამაშებს ეხება.

– მაგალითად, გერმანიაში აზარტული თამაშები კონტროლდება მკაცრად. მომხმარებელს არ შეუძლია, დღეში ითამაშოს გარკვეულ თანხაზე მეტი, მაგალითად, 300 ევროზე მეტი. მსგავსი ტიპის შეზღუდვებს ვხვდებით ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც. ჩვენ ვასუბრობთ ისეთ სფეროებზე, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მომხარებელზე და გარკვეულწილად საფრთხეს უქმნის მათ, როგორიცაა აზარტული თამაშები, ონლაინსესხები, სადაც მაღალია საპროცენტო განაკვეთები, - აცხადებს ბექა კემულარია. (commersant.ge)

## მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაა



მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაა - ასეთია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ ქვეყნის მასშტაბით დასაქმების საკითხებზე ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგი.

კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 51 პროცენტი ფიქრობს, რომ საქართველოს ეკონომიკის წინსვლისთვის მთავარი სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებაა, მოსახლეობის 17 პროცენტს კი ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმება სურს.

ამასთან, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 65 პროცენტი თავს დასაქმებულად არ მიიჩნევს, 75 პროცენტის ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი კი 800 ლარს არ აღემატება.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“ აცხადებენ, დასაქმების კუთხით, ქვეყანაში მთავარ პრობლემად კვლავ სოფლის მეურნეობის დარგში თვითდასაქმებულთა მაღალი მაჩვენებელი რჩება. (bpn.ge)



## რესტორანი, ლიმუზინი, საჩუქრები — რა ჯდება საქართველოში სასკოლო ბანკეტი?

რა ჯდება საშუალოდ სასკოლო ბანკეტი ერთ ადამიანზე საქართველოში და რა ხარჯები შედის ამ თანხაში? ამ მიზნით რამდენიმე რესპონდენტი გამოვკითხეთ.



ნაძალადევის საჯარო სკოლის ერთ-ერთი კურსდამთავრებული:

„სკოლა წელს დავამთავრე. ბანკეტზე წასვლა დაახლოებით 700-800 ლარი დამიჯდა. 200 ლარი რესტორნის მენიუ და მისი ორგანიზება დაჯდა. ამაში შედის როგორც უშუალოდ მენიუ, ისე ქალაქგარეთ გასვლა და ფოტო და ვიდეოგადაღება. შემდეგ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, წვრილწვრილი დეტალები, რომელიც საღამოზე დასასწრებად არის აუცილებელი. ამას ემატება მასწავლებლის საჩუქარი, ყველაფერი ჯამში ძალიან დიდ თანხამდე ავიდა. ჩემი აზრით, ჯობდა ეს ფული შემენახა, ცოტა დამემატებინა და დასასვენებლად წავსულიყავით კლასელები საზღვარგარეთ. ბევრად კარგად გავერთობოდით. სისულელეა ბანკეტებში ამდენი ფულის ყრა, არადა, რომ არ წახვიდე, სხვა თვალით შემოგხედავენ“.

საბურთალოს ერთ-ერთი საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლე, ამჟამად მეორე კურსის სტუდენტი:

„სკოლა რამდენიმე წლის წინ დავამთავრე. ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ სკოლის დამამთავრებელი ბანკეტი საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. მახსოვს, რომ ჩვენ 250 ლარი გადავიხადეთ, მაგრამ ამ თანხაში ცხადია ტანსაცმელი და მომზადება არ შედიოდა. სამწუხაროდ, ჩვენს რამდენიმე კლასელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ეს თანხა გადაეხადა (ვგულისხმობ მხოლოდ 250 ლარს). ამ მომენტში თავს იჩენს სირცხვილი, ბრაზი, უთანასწორობის განცდა. ისიც მახსოვს, ერთ-ერთი კლასელი ამბობდა, „რა გაგიხდათ ეს 250 ლარიო“. საბოლოოდ ბანკეტის სამზადისი სერიოზულ დაპირისპირებად იქცა“.

არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც სკოლის გამოსაშვებ ღონისძიებაში ლიმუზინი მონაწილეობს, რომელსაც, ცხადია, მოსწავლეების მშობლების ხარჯით ქირაობენ.

სერვისების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რთულია სასკოლო ბანკეტის საშუალო ხარჯის დაანგარიშება ერთ ადამიანზე. თუმცა ფაქტია, რომ თბილისში საშუალო დონის ღონისძიების მოწყობა მინიმუმ 400 ლარი ჯდება. ამ ხარჯში, როგორც წესი, შედის მასწავლებლების დაპატიჟება და ზოგ შემთხვევაში მათთვის სოლიდური საჩუქრების გაკეთება.

შესაბამისად, ქართული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შვილის გამოსაშვები საღამო ოჯახებისთვის საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. (commersant.ge)

აქ თქვენი რეკლამის ადგილია
577 44 44 42

ეკონომიკა... ბიზნესი... ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა...

## სემეკმა მოქალაქეებს 185 ათას ლარზე მეტი ჩამოაწერა




საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) მოქალაქეებს 185 ათას ლარზე მეტი ჩამოაწერა. როგორც სემეკში აცხადებენ, კომისიამ განიხილა საკითხები, რომელთა უმრავლესობა მომხმარებლებსა და ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედ კომპანიებს შორის არსებულ დავებს შეეხებოდა.

– დავები მოიცავდა ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ კომპანიის მიერ მიღებულ დადგენილებებს, უსაფუძვლოდ განხორციელებულ დარიცხვებს, მრიცხველის საფასურს, ხანდაზმულ დავალიანებებს. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, მთლიანობაში ჩამოწერილმა თანხამ 185 136 ლარი შეადგინა.

იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევას, მიმართონ სემეკს ან სემეკთან არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს.

მოქალაქეებს კონსულტაციების მიღება შეუძლიათ როგორც ცხელ ხაზზე 242 01 80, ასევე, „ფეისბუკის“ კომისიის ოფიციალურ გვერდზეც, - აცხადებენ სემეკში. (bpn.ge)

## შვეიცარიელებმა სახელმწიფოსგან ყოველთვიურად 2 500 დოლარის მიღებაზე უარი თქვეს




შვეიცარიის მოსახლეობის 78 პროცენტი სახელმწიფოსგან 2500 დოლარის ოდენობის ყოველთვიურ „გარანტირებულ შემოსავალზე“ უარს ამბობს.

„ბიბისის“ ინფორმაციით, ასეთია ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის წინასწარი შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს აინტერესებს, როგორიც ფინეთი და ჰოლანდიაა, მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც რეფერენდუმი ჩაატარა, შვეიცარია იყო.

დამკვირვებლების განმარტებით, რეფერენდუმის კითხვა მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ იყო. დასმულ კითხვაში ყოველთვიური მუდმივი ანაზღაურების ოდენობა მითითებული არ ყოფილა. მხარდამჭერები აცხადებენ, რომ აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფდა შვეიცარიელების უფლებას, ჰქონოდათ ღირსეული ცხოვრება.

შვეიცარიის არც ერთი პოლიტიკური ძალა აღნიშნულ ინიციატივას მხარს არ უჭერდა, რადგან შიშობდა, რომ მოსახლეობა „პასუხისმგებლობისა და ინიციატივის შეგრძნებას" დაკარგავდა. (bpn.ge)

## სკანდალი გერმანიასა და რუსეთს შორის - გამოიყენა თუ არა გერმანიამ რუსეთთან დაკავშირებით სიტყვა „მტერი“



გერმანიის თავდაცვის უწყება უარყოფს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს გერმანიის სამხედრო დოქტრინაში რუსეთი, როგორც მოწინააღმდეგე მხარე ისეა მოხსენიებული. ურსულა ფონ დერ ლიაიენის განცხადებით, რუსეთთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სიტყვა, როგორიცაა „გამოწვევა" და არა „მოწინააღმდეგე". ამასთანავე, არსებული ტერმინის რუსეთთან მიმართებაში გამოყენებას უარყოფს რუსეთში გერმანიის ელჩი რიუდიგერ ფონ ფრიჩიც. მისი თქმით, „თეთრი წიგნის" ახალი რედაქცია, რომელიც გერმანიის ეროვნული უსაფრთხოების სახელმძღვანელოს წარმოადგენს, ჯერ არ გამოქვეყნებულა და აღნიშნულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით ინფორმაციები სპეკულაციაა.

გერმანულმა გამოცემა Die Welt-მა სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით დაწერა, რომ გერმანიის სამხედრო დოქტრინის ახალ რედაქციაში რუსეთი როგორც მოწინააღმდეგე ისეა მოხსენიებული და ის შეყვანილია გლობალური საფრთხეების ათეულში.

გერმანული მედიის გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმაც გააკეთა. მან იმედი გამოთქვა, რომ გერმანიის მთავრობა ყველა დადებით და უარყოფით მხარეს გააანალიზებს, ვიდრე რუსეთს მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩარიცხავს. რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვმა კი თავის მხრივ განაცხადა, რომ თუ გერმანიის მხრიდან რუსეთის მოწინააღმდეგეთა ნუსხაში შეყვანა დადასტურდება, ეს სამწუხარო და შემაშფოთებელი ფაქტი იქნება. (ნიუპოსტი)

## მეგი გოცირიძის ლექსი „დიდ ბელადს“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი მეგი გოცირიძე შემდეგ ლექსს აქვეყნებს:

„აქ ჩამოდი ჩვენსაო,
ხალხი გიქნევს ხელსაო,...
კბილაშვილსაც კბილს დავაძრობთ
8 ოქტომბრის თვესაო...
ბიძინეც ვერ გადურჩება,
ციდან გრგვინვა — მეხსაო....
კუდით ქვასაც ვასროლინებთ —
ყველა ჯურის მტერსაო,
რაშოვ და......
8 ოქტომბერს შეგისრულებთ, რაშოვ და ...
ტაში მიშო მიშიკუნა, არ გოუშვა ეგ ხიხუნა ...
რაშოვ დაააააააააა... (ttaoba.ge)

**ილარიონ შევარდნაძე: ძაან ხმამაღლაა დაწერილი.**

**ილიკო ჩიგოგიძე: ილარიონ, მაგას კი ეშველება — ხმადაბლა წაიკითხავს კაცი, მარა ამას რა ეშველება, ამას?!**

● **გიგრძვნიათ, ქალბატონო მეგი, გიგრძვნიათ, მაგრამ მეტი აღარ გაამხილოთ ლექსებს რომ წერთ, ხალხს თავის გაჭირვებაც ეყოფა!!!**

## ევროკავშირის სასამართლომ არალეგალი მიგრანტების ციხეში ჩასმა აკრძალა




ევროკავშირის სასამართლომ არალეგალი მიგრანტების ციხეში ჩასმა აკრძალა. სასამართლოს ვერდიქტში ნათქვამია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა არ უნდა ჩასვან მიგრანტები ციხეში მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ქვეყანაში უკანონოდ ჩავიდნენ.

ვერდიქტის თანახმად, ამის სანაცვლოდ საჭიროა არალეგალი მიგრანტების დეპორტაცია იმ ქვეყანაში, საიდანაც ევროკავშირის ტერიტორიაზე ჩავიდნენ.

სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეეხება დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიას, რომლებიც შენგენის ზონის წევრები არ არიან, ასევე, დანიას, რომელსაც უფლება აქვს, ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებები არ შეასრულოს. (რეპორტიორი)

## გახშირებულ თვითმკვლელობათა ძირითადი მიზეზი წარუმატებელი აზარტული თამაშებია



– საქართველოში ბოლო პერიოდში გახშირებულ თვითმკვლელობათა ძირითადი მიზეზი წარუმატებელი აზარტული თამაშებია, - ამის შესახებ „აფხა“-ს ანალიტიკოსი ზურაბ კუკულაძე აცხადებს.

საქართველოში დღესდღეობით ათამდე ონლაინკაზინოა. მათგან ოთხი („აჭარაბეთი“, „ევროპაბეთი“, „კრისტალბეთი“ და „ლიდერბეთი“) ყველაზე მსხვილი და შესაბამისად, მაღალბიუჯეტიანია. თუმცა ჩვენთვის უცნობია, როგორია ყოველწლიურად ონლაინკაზინოების მოგება და რა მაქსიმალურ თანხას აგებენ მოთამაშეები.

ზურაბ კუკულაძის განცხადებით, ქვეყანაში ონლაინ-კაზინოებთან დაკავშირებული რეგულაციების არქონა უამრავ პრობლემას წარმოშობს. მისი თქმით, ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში ეს სფერო მკაცრი რეგულაციების ქვეშაა.

– არსებობს სივრცეები, სადაც ონლაინკაზინოების მიმართ კანონმდებლობა ლიბერალურია. თუმცა, ეს ნამდვილად არ არის ამერიკა და ევროპის ის განვითარებული ქვეყნები, რომლებისკენაც ჩვენ მივისწრაფვით. ინტერნეტის კონტროლი სრულად, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. შესაბამისად, ონლაინკაზინოების აკრძალვას ვერ მოვითხოვთ, მაგრამ ამ სფეროში უნდა არსებობდეს მკაცრი რეგულაციები, დაწესდეს წაგების ლიმიტი, აღნიშნულ ბიზნესს დაეკისროს მაღალი გადასახადები, მოხდეს მოთამაშის მკაცრი და ასპროცენტიანი იდენტიფიცირება, - აცხადებს „აფხა“-ს ანალიტიკოსი. (რეპორტიორი)

## ბათუმის დელფინარიუმში წარმოდგენის დროს დელფინი დაიბადა



ბათუმის დელფინარიუმში მატებაა – პატარა დელფინი არც მეტი, არც ნაკლები, წარმოდგენის დროს დაიბადა. სასიხარულო ამბის შესახებ ბათუმის დელფინარიუმის „ფეისბუქის“ გვერდზე წერენ:

„სასწრაფოდ: ბათუმის დელფინარიუმში რამდენიმე წუთის წინ, შოუს მსვლელობისას, კიდევ ერთი დელფინი დაიბადა!“ - ვკითხულობთ ტექსტში, რომელიც სიახლის ამსახველ ფოტოს ახლავს თან. (ambebi.ge)

## ჟიჟილაშვილი ივანიშვილს: გვირჩიეთ, როგორ დავივიწყოთ მურუსიძე და გვახსოვდეს გვარამია?!



– გვირჩიეთ, როგორ მოვახერხოთ, მეხსიერება გვქონდეს შერჩევითი, როგორ დავივიწყოთ მურუსიძე და გვახსოვდეს გვარამია, რატომ არის გვარამია ნეგატივი დღემდე და რატომ არის მურუსიძე მსხვერპლი?! - ამ კითხვით მიმართა ტელეკომპანია „პირველის" ჟურნალისტმა ნინო ჟიჟილაშვილმა ყოფილ პრემიერს ბიძინა ივანიშვილს.

ივანიშვილმა კი ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ ლევან მურუსიძის თემა „ნაციონალური მოძრაობისა" და მისი ტელევიზიის წამოწეულია.

– მე არ გეთანხმებით, რომ ეს არის შერჩევითი. მურუსიძე მეორე პირად რომ აირჩიეს სასამართლოში, გაგიგიათ ამასთან დაკავშირებით რამე ხმაური?!

„ნაციონალურ მოძრაობას" მთელ სასამართლოს, როგორც უნდოდათ ისე მართავდნენ. გაებედა რომელიმე მოსამართლეს და ისე არ გაეკეთებინათ, როგორც ეტყოდნენ, ხომ არ გგონიათ მარტო გაათავისუფლებდნენ?! ციხეში გაუშვებდნენ და შესაძლოა, სხვა რამეც ექნათ. ეს კაცი (მურუსიძე) რატომ გამოარჩიეს? ერთი მაგალითი მაინც დამისახელეთ, რომელიც ახალი მმართველობის პროცესში, ასეთ დონეზე აწეულიყოს. თემის აწევა იციან და დაჭერა, ვინ იცის ეს კარგად, რა თქმა უნდა „ნაციონალურმა მოძრაობამ" და მათმა მედიამ. ეს თემაც რომ მათი წამოწეულია და ანგარიჟებულია... თუ დამისახელებთ სხვა ძალას, ასე თემა პროპაგანდისტულად აწიოს, მაშინ შევიცვლი ჩემს პოზიციას. თემების ასე აჟიტირება მათგან მოდის. რატომ აგინებენ, რას ერჩიან, რატომ მაშინ არ აგინებდნენ, როცა მეორე თანამდებობა ჰქონდა, იმიტომ აგინებენ, რომ ალბათ აღარ ემორჩილება. ეს უნდა გიხაროდეთ ჟურნალისტებსაც და საზოგადოებასაც, - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. (ipress.ge)

## აი, ასეთი საშინელი აზრები რომელ ავადმყოფ ტვინში ჩნდება?!



გარდაცვლილი მსახიობის კოტე თოლორდავას მეუღლე განო მელითაური „ფეისბუკზე“ იმ ფსიქოლოგიური ტერორის შესახებ საუბრობს, რომელიც მის მიმართ ხორციელდება. როგორც განო მელითაური წერს, გარკვეული პირები მას უკავშირდებიან და კოტე თოლორდავაზე სხვადასხვა ინფორმაციას აწვდიან, თითქოს ის არ გარდაცვლილა და ცოცხალია:

– ყველა, ვინც კოტე თოლორდავაზე, რომელიც მთელმა საქართველომ დაიტირა, მირეკავს როგორც ცოცხალზე, მიყვება როგორ დაინახა ქუჩაში, ან რომ მასთან საუბარი უნდა და სასწრაფოდ დავალაპარაკო, რომ ონლაინკრედიტი ჰქონდა და მე ვმალავ და არ ვალაპარაკებ, რომ ჰქონდა ხილვა და ნამდვილად ცოცხალია, ყველა, როგორც ერთი ხართ არაადამიანები!!!!

წარმოდგენა არ გაქვთ ადამიანურ ღირებულებებზე, განსაცდელზე, რომელშიც ჩვენი ოჯახი იმყოფება, დანაკარგზე, რომელსაც სამყაროში ვერაფერი აგვინაზღაურებს და ტკივილებზე, რომელსაც ყოველდღიურად განვიცდით!

შეწყვიტეთ! რადგან თითოეული ასეთი ზარის შემდეგ დემორალიზებული და განადგურებული ვარ და მთელი თერთმეტთვიანი ძალისხმევა, რომ ცხოვრების გაგრძელება შევძლო, წყალში იყრება! - წერს განო მელითაური „ფეისბუკზე“. (ნიუპოსტი)

## ქმრისა და შვილის მკვლელობაში ბარლდებული მაგდა პაპიძის სასამართლო განხილვა იწყება

თბილისის საქალაქო სასამართლოში 10 ივნისს მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილის განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებული მაგდა პაპიძის მიმართ, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა იწყება.

წარდგენილი ბრალის თანახმად, პაპიძეს ბრალად ედება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და დამამძიმებელ გარემოებებში, ორი პირის განზრახ მკვლელობა.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე გამოცხადებულ კანდიდატთაგან შეირჩა 15 ნაფიცი მსაჯული. განისაზღვრა 12 ძირითადი და 3 სათადარიგო ნაფიცი მსაჯული, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ მართლმსაჯულებას.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა კონფიდენციალურია. მათი უსაფრთხოების მიზნით, სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებსა და პროცესის მონაწილეებს ეკრძალებათ მსაჯულთა ვინაობის გამხელა. სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩაწერა და ეთერში გადაცემა უნდა განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე. (იპრესს.გე)

## წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულებზე, შესაძლოა პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა აღარ გავრცელდეს



სისხლის სამართლის ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა: წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, შესაძლოა პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა აღარ გავრცელდეს.

შესაბამისი ცვლილებების შეტანა „სისხლის სამართლის კოდექსში" იგეგმება, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოამზადა. პროექტით ახლებურად განისაზღვრება ძალადობის მუხლი – ცემა ძალადობის ერთ-ერთ სახედ განისაზღვრება და შესაბამისად, დაგეგმილია „სისხლის სამართლის კოდექსიდან" იმ მუხლის ამოღება, რომელიც ცემისთვის ცალკე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, წამების დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალს ისეთი გარემოებები ემატება, როგორიცაა – წამება სამედიცინო მანიპულაციების, მედიკამენტების, ან სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით, ასევე ანგარებით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის აღიარების იძულების მიზნით ან მესამე პირის წინააღმდეგ ცრუ დასმენის მიზნით. პროექტით კონკრეტდება „წამების მუქარა". წამების მუქარა დანაშაულად ჩაითვლება მაშინ, თუ ის არის რეალური და იმწუთიერი.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სასჯელის ზომის გამკაცრებას დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისათვის. მოქმედი ნორმით, პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 5-წლამდე, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 6-წლამდე. კანონპროექტით ეს ქმედებები დასჯადია თავისუფლების აღკვეთით, ვადით 3-დან 7-წლამდე და თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 10-წლამდე. (ინტერპრესნიუსი)

# როგორ აპირებენ „ნაციონალები" „რუსთავი 2"-ის მეშვეობით სიტუაციის არევას?


ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ბიძინა ივანიშვილმა „მულამი" კიდევ ერთხელ „გაისწორა" და გუშინ ტელევიზიის ჟურნალისტებთან ორ საათ-ნახევარი ინტერვიუს ფორმატში ისაუბრა. დღეს ბიძინა ივანიშვილი ალბათ, ბედნიერია... მისი საუბრის ერთ-ერთი ნაწილი „რუსთავი 2"-თან დაკავშირებით აშშ-ს ელჩის განცხადებაც იყო.

ექსპერტები ღიად მიანიშნებდნენ ივანიშვილს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები პრობლემას შეუქმნიდა, თუკი ფორმალურ თანამდებობას არ დაიკავებდა ხელისუფლებაში, გამორიცხული არ იყო სანქციების დაწესებაც. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა ეს საფრთხე გააანალიზა, რასაც წინ უძღოდა აშშ-ს ელჩის, იან კელის შემაშფოთებელი განცხადებები „რუსთავი 2"-თან დაკავშირებით, როცა მან, ფაქტობრივად, ღიად მოუწოდა საქართველოს მოსახლეობას, გამოსულიყო და „რუსთავი 2" დაეცვა. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა მოსალოდნელი საფრთხეები იგრძნო და ამიტომაც 6 ივნისს შეხვდა ამერიკის ელჩს იან კელის. ივანიშვილისგან შევიტყვეთ, რომ ისაუბრეს გამოქვეყნებულ წერილზე, „რუსთავი 2"-ის ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე. აღნიშნა, რომ კონკრეტულ საკითხში მათი პოზიცია თანხვედრაშია, თუმცა არის თემები, რაშიც ივანიშვილი იან კელის არ ეთანხმება და მან განაცხადა, რომ „რუსთავი 2"-ში მენეჯმენტის შეცვლა არჩევნებამდე არასასურველია.

**როგორ აპირებენ „ნაციონალები" „რუსთავი 2"-ის მეშვეობით სიტუაციის არევას?**

**„ალიას" უფლებადამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრა:**

– ვიზალიბერალიზაციის გაჭიანურება, ამერიკის ელჩის ეს განცხადებები, საქართველოში კიდევ უფრო აკნინებს დასავლეთის პოზიციას, ამავდროულად მაქვს ინფორმაციები, როგორ აპირებენ რევოლუციური სცენარის განვითარებას.

— **რამდენად სანდოა თქვენი ინფორმაცია და რა გეგმა მუშავდება?**

– მათი გეგმის მიხედვით, როგორც 90-იან წლებში მოხდა, როცა ტელევიზიის კიბეებზე ჟურნალისტები დასხდნენ, მსგავსი რამ არის ჩაფიქრებული, რომ რუსთავი 2"-ისა და „ნაცმოძრაობის" კონტროლქვეშ მყოფი მედიასაშუალებების ჟურნალისტებმა დაიწყონ საპროტესტო აქციები, თითქოს მათზე ზეწოლაა. არავის არ მიუქცევია ყურადღება, რა განცხადება გააკეთა ნიკა გვარამიამ 31 მაისს. მან პირდაპირ თქვა, საკონსტიტუციო სასამართლო ჯიბეში მყავს ჩასმული და ჩვენს სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებენო. გვარამიამ პირდაპირ განაცხადა, რაც არ უნდა მოხდეს, მათ აქვთ სათადარიგო გზა, ანუ საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვაშია „რუსთავი 2"-ის მეორე სარჩელიც. აქ საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოში „რუსთავი 2"-ის მეორე სარჩელზე (№618), სადაც ისინი ითხოვენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მიანიჭოს უკუძალა წარსულ დროში და ის გახდეს ახლად აღმოჩენილი გარემოება საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გახდეს საერთო სასამართლოების მიერ წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებათა გაუქმების, მათი გადასინჯვისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. ამით გვარამიამ უნებურად განაცხადა, რომ იცის, მომავალში მათი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში დაკმაყოფილდება. ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ იზრდება იმ პარტიების დაფინანსება, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის" ბაზაზე შეიქმნა, მათი პარტიის ყრილობაზე სულ ერთი და იგივე ხალხი დადის და ეს ყველაფერი იცით, რისთვის კეთდება? როდესაც არჩევნების შედეგები გამოცხადდება, მათ მხარი აუბან „ნაცმოძრაობას" და იძახონ, არჩევნები გაყალბდაო. არჩევნების გაყალბების მოტივაციით, რევოლუციურ სცენარს განახორციელებენ. ეს ადამიანები მოურიდებლად საუბრობენ, შეგახსენებთ სააკაშვილის განცხადებას, ჯერ არჩევნები არ ჩატარებულა და ამბობს, წალენჯიხიდან ავტობუსებით ხალხი წამოვაო. რა იცის სააკაშვილმა, იქნებ არჩევნები გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდეს, რატომ ასკვნის, რომ არჩევნები გაყალბებულია. „ნაციონალებს" ზონდერჯგუფები აქვთ შექმნილი ყოფილი ძალოვნებისგან, მომხრეები ძალოვან სტრუქტურებშიც ჰყავთ და თუ ფხიზლად არ იქნებიან, „მასშტაბურ კორცხელს" ვიხილავთ საპარლამენტო არჩევნებზე.




ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## „ის კაცი, ვინც ქვეყანას მართავს, არ არის ჯანმრთელად და შესაბამისად, არც ქვეყანაა ჯანმრთელად"



ამის შესახებ „რუსთავი 2"-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რითაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა. როგორც გვარამიამ აღნიშნა, ივანიშვილის პრესკონფერენცია უფრო კომიკური იყო, ვიდრე „რუსთავი 2"-ის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესი.

„არ მეგონა ამ სასამართლოზე კომიკურს თუ რამეს ვნახავდი, თუმცა ივანიშვილის პრესკონფერენცია, უფრო კომიკური სანახაობა იყო. არ ვართ ჯანმრთელად, არც ის კაცია ჯანმრთელად, ვინც ამ ქვეყანას მართავს და შესაბამისად არც ქვეყანაა ჯანმრთელად, არც ეს ქალები, მოსამართლეებს მათ ველარ ვუწოდებთ, ვინც პროცესზე არიან, არ არიან ჯანსაღად", – განაცხადა გვარამიამ. (ინტერპრესნიუსი)

## სოფო ნიჟარაძეზე თავდამსხმელი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობდა



სამართალდამცველებმა ფილარმონიაში, „რუსთავი2"-ის მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორის" დასრულებისას მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირი დაადგინეს. შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 1983 წელს დაბადებული გოგა ყ., რომელიც ფილარმონიაში კონცერტს ესწრებოდა, შოუს დასრულებისთანავე სცენაზე ავიდა და მომღერალ სოფო ნიჟარაძეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

დაცვის თანამშრომლებმა მამაკაცი შენობიდან გაიყვანეს, რის შემდეგაც ის მიიმალა. სასწრაფო სამედიცინო-დახმარების ბრიგადამ სოფო ნიჟარაძე

სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა გოგა ყ.-ს კვალს ინციდენტიდან ერთ საათში მიაკვლიეს. წინასწარი ინფორმაციით, გამოვლენილ პირს ფსიქიკური პრობლემები აქვს და შესაბამის დაწესებულებაში მკურნალობდა. (ინტერპრესნიუსი)

## „ბიძინა ივანიშვილი პატიოსნად ამბობს, რომ მის მიერ დაარსებული ქართული ოცნება არის მისი პარტია"



ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარის, დავით ბერძენიშვილის შეფასებით, პარტია „ქართული ოცნებისადმი" ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა სრულიად ნორმალური და ბუნებრივი პროცესია.

„ბიძინა ივანიშივილი პატიოსნად ამბობს, რომ მის მიერ დაარსებული „ქართული ოცნება" არის მისი პარტია. ეს კარგია, ეს ნორმალურია. მან თქვა, რომ ერთ-ერთი პარტია შეხვდა და სთხოვა, არავისთვის მხარი არ დაეჭერა. ჩვენ არ შევხვედრილვართ. არანაირი ნეგატიური დამოკიდებულება მის მიმართ არ მაქვს. როგორც ყოველთვის ვამბობდი, ძალიან ვაფასებ მის როლს 2012 წლის 1-ელი ოქტომბრის მოყვანაში, ახლაც ვაფასებ მის როლს, მაგრამ ვთვლი, რომ წარსული „ნაციონალური მოძრაობა" და შემორჩენილი აწმყო - "ქართული ოცნება", სათანადოდ არ ასახავს საქართველოს მომავალ პოლიტიკურ სივრცეს", - აცხადებს ბერძენიშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## „ქართული ოცნება“ არის აწმყო და გვაქვს შანსი, გვქონდეს უკეთესი მომავალი - დავით ბერძენიშვილი



„რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, დავით ბერძენიშვილი ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს აფასებს. ბერძენიშვილის თქმით, საქართველოში დასრულდა „ორ ფერში წარმოჩენილი პოლიტიკის" ეპოქა:

– ძალიან ბევრ საკითხზე ისაუბრა, ძალიან საინტერესო იყო მისი საუბარი, ბევრჯერ ახსენა „ნაციონალური მოძრაობაც", ბევრჯერ ახსენა მისი პარტია „ქართული ოცნება", სხვა პარტიების ხსენებას ის გაურბის. ჩემი შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობა" არის წარსული, დღევანდელი „ქართული ოცნება" არის აწმყო და ჩვენ გვაქვს ყველა შანსი, გვქონდეს უკეთესი მომავალი. ყოველგვარი მცდელობა ყოფილი ლიდერების მხრიდან, „ქართული ოცნების" და „ნაციონალური მოძრაობის", რომ ორ ფერში ჩატიონ ქართული პოლიტიკა, ასეთი გვქონია, აღორძინება-მოქალაქეთა კავშირი, შევარდნაძე-აბაშიძე, ქართული პოლიტიკა დღეს არის გაცილებით წინ და გაცილებით მრავალფეროვანი, ვიდრე ეს იყო ადრე, - განაცხადა დავით ბერძენიშვილმა. (ნიუპოსტი)

## თბილისში 5 ავტომობილის შეჯახებას მსხვერპლი მოჰყვა




თბილისში მომხდარ ავარიას მსხვერპლი მოჰყვა. ოლიმპიური ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთმანეთს 5 მანქანა შეეჯახა, რის შედეგადაც მამაკაცი გარდაიცვალა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს გამოძიება, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (rustavi2.com)

**● ადგილზე, სადაც ავარია მოხდა, ავტომობილის სწრაფად მართვის მოყვარული ახალგაზრდები პრაქტიკულად, ყოველ საღამოს იკრიბებიან და გარდა იმისა, რომ ადგილობრივებს მოტორის ბღუილით უფრთხობენ ძილს, საკუთარ სიცოცხლესაც რისკავენ. აგერ, შემთხვევა სამწუხაროდ, ტრაგიკულად დასრულდა. ჰო, პატრულის ეკიპაჟებიც ხშირად ჩანან ხოლმე ტერიტორიაზე, თუმცა როგორც კი თვალს მიეფარებიან, აწყვეტილი რბოლები ისევ გრძელდება. საინტერესოა, უღირთ ადრენალინი ახალგაზრდებს სიცოცხლის მოსპობის სანაცვლოდ?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვიზალიბერალიზაციაზე შესაძლოა, საქართველოს რომელიმე ქვეყანა ბლოკავს“



ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, ვიზალიბერალიზაციის საკითხის გაჭიანურების რამდენიმე მიზეზი შეიძლება არსებობდეს და ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს რომელიმე ქვეყნის მხრიდან დაბლოკვა, თუმცა ტყემალაძე კონკრეტულ ქვეყანას ვერ ასახელებს. ტყემალაძე არ მიიჩნევს „რეალურ მიზეზად“ გერმანიის მთავრობის ეჭვებს, რომ რამდენიმე ქვეყნისთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებამ შესაძლოა, მათ ქვეყანაში კრიმინალური ვითარება გაამწვავოს.

– კრიმინალური მდგომარეობა არ მგონია მართალი მიზეზი იყოს. ეს მდგომარეობა გამწვავებულია მხოლოდ ბოლო თვეებში. მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, შესაძლებელია, რომელიმე ქვეყანა რომელიმე ქვეყნის სასარგებლოდ აკეთებს განცხადებებს, რომელიმე ქვეყანა რომელიმე ქვეყანას ბლოკავს, თუმცა ნამდვილად არ შემიძლია საუბარი, რომელი ქვეყანა რომელს ბლოკავს. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ექნება ვიზალიბერალიზაცია. ყველაფერი გაკეთდა ამისთვის. გარკვეული მინიშნებები და მოწოდებები იყო, საკანონმდებლო ცვლილებებისა და რეფორმების აუცილებლობა იყო, რომელიც შესრულდა ჩვენი მხრიდან. საქართველოს მოსახლეობა ნამდვილად იმსახურებს ვიზალიბელარიზაციას და ვიმედოვნებთ, რომ მას მიიღებს... „ნაციონალების“ სურვილია საპარლამენტო არჩევნებამდე გადადონ ეს საკითხი იმ მიზეზით, რომ ვითომდა არჩევნები იყოს ტესტი, თუმცა ჩვენ ეს ტესტი ჩაბარებული გვაქვს, - განაცხადა ტყემალაძემ. (პირველი რადიო)

**● ვაახ, გაარკვიეთ მერე, თქვე კაი ხალხო, ვინ გვბლოკავს, ვის არ მოვდივართ თვალში, განსაკუთრებით იმუშავეთ მასთან და დადეთ შედეგი, აბა, რისთვის ხართ ხელისუფლებაში, მხოლოდ პრივილეგიებისთვის?!**

## „სად იყავით 9 წლის მანძილზე, ნაციონალების გვერდით ხომ არა თქვენი დიდძალი ფინანსებით?“ - კაციტაძე ივანიშვილს

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს მიმართავს და ინტერესდება, სად იყო ავადსახსენებელ 9 წლიანი რეჟიმის დროს და ხომ არ იყო ის მისი დიდძალი კაპიტალით ნაციონალური მოძრაობის გვერდით.

განცხადება კაციტაძემ ივანიშვილის მიერ ბოლო დღეებში გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას გააკეთა.

– ბიძინა ივანიშვილი მოწადინებულია, რომ ყველაფრის შემფასებელ-გამაანალიზებელი იყოს, მაგრამ რამდენად აკმაყოფილებს ამას მისი რესურსები, აი, აქ დავსვამდი ძალიან დიდ კითხვის ნიშანს.

წერილიდან და ინტერვიუდანაც იყო რაღაცრაღაცეები, რაც საყურადღებო და მისაღები იყო ჩემთვის. იყო ისეთი გამონათქვამებიც, რომელიც უბრალოდ ღიმილის მომგვრელია, მაგალითად, მთავრობაში ვიღაცის ხათრით ყოფნა. თუმცა, არის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაშიც ყოფილ პრემიერს ვეთანხმები: საუბარია შეფასებაზე, რომელიც კეთდება განვლილ 9 წელზე, ივანიშვილის



შეფასებების 99 პროცენტს ვეთანხმები, უბრალოდ, მაინტერესებს, თვითონ სად იყო ამ 9 წლის განმავლობაში? თვითონაც ხომ არ მიუძღვის წვლილი იმ უბედურებებში, რაც ხდებოდა, იმ შავი ლაქის თანამონაწილე ხომ არ იყო ბატონი ბიძინა თავისი დიდძალი ფულით? - აღნიშნა მამუკა კაციტაძემ. (ნიუპოსტი)

## რუსულმა მხარემ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს 3 მოქალაქე გაათავისუფლა



რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რუსულმა მხარემ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს კიდევ 3 მოქალაქე გაათავისუფლა. როგორც აბაშიძემ განაცხადა, პრაღაში, ქართულ-რუსული დიალოგის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად განიხილება საკითხი, რომელიც ეხება საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლებას, რომლებიც ჯაშუშობის ბრალდებით რუსეთში მრავალწლიან სასჯელს იხდიან.

– 2014 წელს ჩვენ გავათავისუფლეთ ჩვენი 3 მოქალაქე. რამდენიმე დღის წინ რუსეთის მხარემ დამატებით კიდევ ჩვენი 3 მოქალაქე გაათავისუფლა, რომლებიც უკვე დაუბრუნდნენ ოჯახებს. ამაში მონაწილეობა მიიღო ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ, შესაბამისმა უწყებებმა და ალბათ, ივნისის თვეში კიდევ ერთი მოქალქე, რომელიც რიგით მეშვიდე იქნება, გათავისუფლდება. იმედი გვაქვს, რომ ეს თემა ახლო მომავალში საერთოდ დაიხურება, -განაცხადა აბაშიძემ.

როგორც ზურაბ აბაშიძე ამბობს, გათავისუფლებული პირების სახელებსა და გვარებს არ ასახელებენ, ვინაიდან შესაძლოა, მათ არ სურდეთ ვინაობის გამჟღავნება. მისივე თქმით, ამ ეტაპზე ჯაშუშობის ბრალდებით რუსეთში საქართველოს რამდენიმე მოქალაქე დარჩა და ეს რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გათავისუფლდნენ. (პირველი რადიო)

## და გვინდა მერე ეს ოხერი რუსეთი, აღარ კითხულობთ?!

ახალი პოლიტიკური პარტია „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის" წევრი ლალი მოროშკინა საზოგადოებას პირობას აძლევს, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები აღდგება და პასუხისმგებლობას ამაზე თავად იღებს.

– დაიწყება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, ამაზე მე ვიღებ პასუხისმგებლობას, - განაცხდა მოროშკინამ.

პარტია „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის" წევრები იქნებიან სანდრო ბრეგაძე, ჯემალ სეფიაშვილი, დავით ფაცაცია, ლალი მოროშკინა, ია მეტრეველი. (news.ge)



## „ქართულ ოცნებას“ 1 თვის განმავლობაში 1 370 745 შესწირეს

სახელმწიფო აუდიტის ფინანსური მონიტორინგის სამსახური პარტიების შემოწირულობის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს, რომელიც მაისის თვეს მოიცავს.

შედეგების მიხედვით, „ქართული ოცნება" ლიდერობს. პარტიას 1 თვის განმავლობაში 1 370 745,00 შესწირეს, მეორე ადგილს პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხისთვის" ლიდერობს 266 407,72 ლარით, ხოლო მესამე ადგილს „ნაციონალური მოძრაობა" 54 049,32 ლარით იკავებს.

პარტიების შემოწირულობების მონაცემები, რომელიც 2016 წლის 1-ელი მაისიდან 31 მაისის მონაცემებს მოიცავს, ასე გამოიყურება:

„მ.პ.გ. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 1 370 745,00;

„პლატფორმა ახალი პოლიტიკური მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის“ 266 407,72 „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 113 064,50, პლატფორმა ახალი პოლიტიკური ცენტრისთვის 81 295,53; მ.პ.გ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 54 049,32; მ.პ.გ. „თავისუფალი დემოკრატები“ 28 000,00; ა.ა.ი.პ. „გაერთიანება ბედნიერი საქართველოსთვის“ 26 732,00; მ.პ.გ. „ჩვენი სამშობლო“ 11 000,00; მ.პ.გ. „საქართველოს მშვიდობისათვის“ 2 360,00; პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ 2 065,00; „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ 1 060,00; პოლიტიკური გაერთიანება „მემარცხენე ალიანსი“ 1 000,00; „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ 120,00.

ჯამში პარტიებმა 1 957 899,07 ლარის ოდენობის შემოწირულობა მიიღეს. (პირველი რადიო)

## გორის საკრებულოში ჭერი ჩამოინგრა



ძლიერი წვიმის შედეგად პრობლემები გორის საკრებულოშიც შეიქმნა, ფრაქცია „ქართული პარტიის“ ოთახში ჭერი ჩამოინგრა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, რადგან სამუშაო საათები უკვე დასრულებული იყო და ოთახშიც არავინ არ იმყოფებოდა.

ჭერის ჩამონგრევამდე ოთახებში წყალი ჩავიდა, რის გამოც კომპიუტერული ტექნიკის გატანა და მუშაობის შეწყვეტა გახდა საჭირო. (ნიუპოსტი)

**● ეეჰ, საკუთარ თავს ვერ უვლიან ესენი, საკუთარ უსაფრთხოებაზე ვერ ზრუნავენ ხეირიანად და ხალხისთვის გააკეთებენ რამე ნორმალურს? ჭერის გამაგრებას არ ურჩევნიათ, თანხა პრემიებში მიმართონ და ჯიბეში ჩაიდონ? რა თქმა უნდა, ასეა!!!**

# გიორგი ახვლედიანი: „ეს არის წართმევა, წაგლეჯა და პოლიტიკური ბანდიტიზმი!“

## რაში ადანაშაულებს ინტერპარტიული ჯგუფი კოალიციის ყოფილ წევრებს?







ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



მას შემდეგ, რაც „გერმანული მოდელი“, რომლის მიღებასაც ოპოზიცია ითხოვდა, საბოლოოდ ჩავარდა, უშედეგოდ დასრულდა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაც, სადაც „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებებს განიხილავდნენ და სარეკლამო დროის პარტიებისთვის გადანაწილებას შეეხებოდა. სხდომაზე „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს, გიორგი ახვლედიანსა და „რესპუბლიკელ“ დავით ბერძენიშვილს შორის შეკამათებაც მოხდა, რაც დერეფანში „საქმის გარჩევით“ გაგრძელდა, მაგრამ ფიზიკურ დაპირისპირებამდე ჩხუბამდე აღარ მისულა. საარჩევნო კოდექსის საკითხის უშედეგოდ გადაწყვეტისგან იმედგაცრუებული ინტერპარტიული ჯგუფი, სხდომის დასრულების შემდეგ სათათბიროდ შეიკრიბა.

**რა მოხდა იურიდიული კომიტეტის სხდომაზე? რაზე ითათბირეს, რაზე შეთანხმდნენ და რას აპირებს ინტერპარტიული ჯგუფი?**

**„ალიას“ გიორგი ახვლედიანი ესაუბრა:**

– აღნიშნული ცვლილებების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტია ის, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციიდან დღეს არსებულ კვალიფიციურ სუბიექტებს – „დემოკრატიულ მოძრაობას“, „პატრიოტთა ალიანსსა“ და „ლეიბორისტულ პარტიას“, ეს საკანონმდებლო ინიციატივა, ძალიან დიდ წილს უფასო სარეკლამო საეთერო დროისა, გვართმევს და ჩვენს სარეკლამო დროს უნაწილებს „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს. მას შემდეგ, რაც კოალიცია დაიშალა და ამ პარტიებს დამოუკიდებლად მოუწევთ არჩევნებში მონაწილეობა, მათ წინაშე დადგა საკითხი – ახლა რა ვქნათ, საეთერო დრო რომ არ გვაქვს? ამიტომ დაიწყეს საარჩევნო კოდექსით მანიპულირება და „რესპუბლიკელი“ ვახტანგ ხმალაძის ინიციატივით შეიქმნა კანონი, რომლის მიხედვითაც თქვეს, – მოდით, ვინც კი ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებს, ყველას ჰქონდეს უფასო სარეკლამო საეთერო დრო, ოღონდ ტელევიზიებს არ გაეზარდოთ სარეკლამო დროის ვალდებულებაო.

**— ტელევიზიებს როგორი ვალდებულება აქვთ, როგორია მათი უფასო სარეკლამო დრო კვალიფიციურ სუბიექტებზე გადანაწილებული და თუ ეს ცვლილება გაიტანეს, რა მოხდება?**

– საზოგადოებრივ მაუწყებელს საათში 5 წუთი აქვს უფასო სარეკლამო საეთერო დრო, არჩევნებამდე 50 დღით ადრე, დანარჩენ კომერციულ ტელევიზიებს საათში ორ წუთ-ნახევარი. გამოდის, რომ ბარიერგადალახულ ხუთ პოლიტიკურ პარტიას – „ქართულ ოცნებას“, „ნაციონალურ მოძრაობას“, „დემოკრატიულ მოძრაობას“, „პატრიოტთა ალიანსსა“ და „ლეიბორისტულ პარტიას“ აქვთ ეს დრო. ვახტანგ ხმალაძის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, ამ ხუთს კიდევ ექვსი დაემატა – „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალი ხუთი პარტია და მეექვსე ბატონი შოთა მალაშხიას, თუ არ ვცდები, „ქრისტიან-კონსერვატიული“ პარტია, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობაშია. გამოდის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის 5 წუთი უნდა გადანაწილდეს უკვე 11 პარტიაზე და იგივენაირად უნდა გადანაწილდეს ამ 11 პარტიაზე სხვა ტელევიზიების უფასო სარეკლამო ეთერი. ეს არის სხვისი მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესება, ეს არის სხვისთვის რესურსის მოპარვა, წართმევა, წაგლეჯა და პოლიტიკური ბანდიტიზმი!

**— რატომ უჭერს მხარს „ქართული ოცნება“ ამ ცვლილებას, ვერ ხვდებიან, რომ უსამართლობას აქვს ადგილი?**

– ყველას გვესმის, რომ „ქართული ოცნებისთვის“ „გერმანული მოდელი“ ძალიან საშიში საარჩევნო სისტემაა, რადგან მისი მიხედვით, რამდენ პროცენტსაც აიღებ, იმდენი პროცენტით შედიხარ პარლამენტში და ეს ხომ „ოცნებას“ დაღუპავს? ამიტომაც „ქართულმა ოცნებამ“ შესთავაზა „თავისუფალ დემოკრატებს“, „რესპუბლიკელებს“, „ეროვნულ ფორუმს“, ნუ გაიტანთ ამ მოდელს თქვენი ხმებით, საერთოდ პარლამენტიდან გაიტანეთ ეს ინიციატივა და ჩვენ მხარს დავუჭერთ თქვენთვის უფასო სარეკლამო საეთერო დროის მინიჭებას, თან ისე, რომ ამ დროს სხვა პარტიებს წავართმევთო. ამიტომაც გაიტანეს „რესპუბლიკელებმა“ „გერმანული მოდელი“ პარლამენტიდან. ერთი სიტყვით, როდესაც ეს ყველაფერი ცხადი გახდა საკომიტეტო მოსმენაზე, ბატონ ვახტანგ ხმალაძეს ვუთხარი, თქვენ კრიმინალს სჩადიხართ-მეთქი, რაც არ მოეწონა, დაიწყო თავის მართლება. ავდექი, პირდაპირ მივედი, გადავუხიე კოდექსში შესატანი ცვლილებები, დავუდე და ვუთხარი, ამ კანონპროექტს, ასეთ კრიმინალურ აქტს შეუძლებელია, ადამიანი სხვანაირად მოექცეს-თქო. ამან ძალიან გააბრაზა ბატონი დავით ბერძენიშვილი, დიდი ბაქიბუქით წამოხტა და მომთხოვა, დარბაზს გარეთ გავსულიყავით, მაგრამ, როგორც კი გარეთ გავედით, მისი ბაქიბუქობა მაშინვე ჩაცხრა, რადგან სათქმელი არაფერი ჰქონდა და ისე დაბრუნდა სხდომათა დარბაზში, როგორც გავიდა.

**— თქვენ შესთავაზეთ რაიმე გამოსავალი ამ სიტუაციიდან?**

– ჩვენ ბატონ ვახტანგ ხმალაძეს ორი ინიციატივა შევთავაზეთ, რაც ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა. პირველი: „ქართულ ოცნებას“ ხომ აქვს იმ ხუთიდან ერთი წუთი? რახან თქვენ „ქართულ ოცნებასთან“ ბლოკში გადალახეთ ბარიერი, ამიტომ მოდით და „ქართულმა ოცნებამ“ გადაგინაწილოთ ის ერთი წუთი თქვენ, ხომ ხართ ექვსი პოლიტიკური პარტია? მაგრამ „რესპუბლიკური პარტიის“ მადა ძალიან დიდია, ამიტომაც ისინი ამას არ თანხმდებიან. მაშინ მეორე ვარიანტი შევთავაზეთ: კანონში ჩავდოთ, რომ, მაგალითად, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაემატოს კიდევ 5 წუთი უფასო სარეკლამო დრო, ოღონდ ეს ხუთი წუთი პარლამენტმა ბიუჯეტიდან აანაზღაუროს, რომ ტელეკომპანიის საეთერო ბადე ამით არ დაზარალდეს. შემდეგ კი საზოგადოებამ განსაჯოს, უნდა თუ არა თავისი ბიუჯეტიდან უფასო სარეკლამო დრო გამოუყოს ნულპროცენტიან „რესპუბლიკურ პარტიას“. მათ არც ერთი ეს ვარიანტი არ მოსწონთ.

**— სხდომის შემდეგ ინტერპარტიული ჯგუფი რომ შეიკრიბეთ, რა დასკვნამდე მიხვედით, რაზე შეთანხმდით?**

– ჩვენი განხილვის საგანი იყო, ზოგადად, იმის დაფიქსირება, რომ გერმანული მოდელი დღეს საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების ვაჭრობის გამო, პრაქტიკულად, დამთავრებულია და ეს ჩვენთვის ძალიან მძიმე თემაა, რადგან ორი წელი კოალიციურ რეჟიმში ვმუშაობდით და ვიბრძოდით ამისთვის.

**— აქამდე რატომ მიიყვანეთ საქმე? „ალიამ“ ხომ ინტერფრაქციული ჯგუფი არაერთხელ გაგაფრთხილათ, რომ ხელისუფლებას დრო გაჰყავდა, არაფერს დაგითმობდათ, რადგან გამკეთებელი აქამდეც შეცვლიდა რამეს და უფრო რადიკალურად უნდა მოგეთხოვათ საარჩევნო კოდექსის შეცვლა?**

– ჩვენ, პრაქტიკულად, ყველანაირი მექანიზმი გამოვიყენეთ იმისთვის, რომ შედეგი მიგვეღო და საარჩევნო კოდექსი შეცვლილიყო. ჩვენ ყველაფერი ვცადეთ, მოვამზადეთ ცვლილება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. პრეზიდენტთან იყო დიდი შეხვედრა და გავაფორმეთ სამოქალაქო თანხმობის მემორანდუმი, უზარმაზარი რაოდენობის პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით და გავუგზავნეთ ხელისუფლებას, რომელმაც მთლიანად იგნორირება გაუკეთა მას. ყველაფერს ველოდით, მაგრამ ამას არა, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების სხვის ხარჯზე გატარებას დასთანხმდებოდნენ „რესპუბლიკელები“, „ფორუმი“, „თავისუფალი დემოკრატები“ და პრაქტიკულად, უფასო სარეკლამო დროში გაცვლიდნენ მთელ ამ გერმანული მოდელის სისტემას... ახლა ერთმანეთს აბრალებენ – ის ბოიკოტის რეჟიმშიაო, რომ 76 კაცი არ გროვდებოდა და, საბოლოო ჯამში, მივიღეთ ის, რომ ორი დღის წინ „რესპუბლიკელებმა“ საერთოდ გაიტანეს ეს ინიციატივა პარლამენტიდან.

**— რა დაგეგმეთ შეხვედრაზე, არ გითქვამთ...**

– უკვე ყველამ დაინახა, რომ პრაქტიკულად, სახელმწიფო ინტერესი გაყიდეს საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. დღეს ასეთი სიტუაციაა: რაიმე ცვლილების ახლა განხორციელების საშუალება დღეს უკვე, პრაქტიკულად, აღარ არსებობს, რადგან დღეიდან ოფიციალურად იწყება საარჩევნო კამპანიის რეჟიმი და საარჩევნო კამპანიის დაწყების გამოცხადების შემდეგ, რაიმე ახალი საარჩევნო კანონმდებლობის შემუშავების მიმართულებით ძირეულ ცვლილებებზე საუბარი და რაიმეს განხორციელება ნამდვილად წარმოუდგენლად მიგვაჩნია. ამიტომ თუნდაც რაიმე აქციები, პროტესტი, რომ შევცვალოთ საარჩევნო სისტემა, უბრალოდ, შედეგის მომტანი აღარ არის, რადგან ცოტა დრო დარჩა. ხელისუფლებამ ასე ვირეშმაკურად დატოვა არსებული საარჩევნო კოდექსი, ჩვენ ამისთვის მას ძალიან ძვირ პოლიტიკურ ფასს გადავახდევინებთ! ამის შესახებ ძალიან დეტალურად ავუხსნით მთელ საქართველოს და ეს ყველაფერი აისახება საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე. თუ მოხდა ისე, ეუთომ განაცხადა, რომ ეს მთლად ეუთოს სტანდარტების არჩევნები არ იყო, ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის ერთი რამ ხდება – რევოლუცია იწყება. იცით, რატომ? მოსახლეობა რომ დაინახავს, ამ არჩევნებით ვერ ვცვლი, კაცო, ხელისუფლებასო, მერე ხელში იღებს კომბალს და გარბის ხელისუფლების ჩამოსაგდებად, რომ ეგება, შემდეგი იყოს სამართლიანიო. რევოლუციური წრე ქვეყნისთვის ძალიან ცუდია, მაგრამ პროცესები თუ დაიწყო, ის უკვე შეუქცევადი გახდება და პასუხისმგებლობა დღევანდელ ხელისუფლებას დაეკისრება.

## შსს-მ ცოლის მკვლელობაში ბრალდებული პირი ცხელ კვალზე დააკავა




შსს-მ წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1980 წელს დაბადებული ბესიკ ო. განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 ივნისს, თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, გარეკახეთის ქუჩაზე, ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლეს, 1980 წელს დაბადებულ ეკატერინე ქ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ეკატერინე ქ. საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

## სამადაშვილი: ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი გამოსვლა ჩემთვის ძალიან შეურაცხმყოფელი იყო



– ამ ქოსა-ტყუილასაგან თავის გათავისუფლება, ვფიქრობ, მართლაც ეროვნული ღირსების საკითხია, - ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობის წევრი, სალომე სამადაშვილი საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილზე წერს.

– ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქისათვის, ივანიშვილის დღევანდელ გამოსვლაში ყველაზე ღრმად შეურაცხმყოფელი არის მისი აშკარა განაცხადი, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოებას, არ გვაქვს უნარი სწორი ანალიზი'გავაკეთოთ. როგორც თავადვე ბრძენმა გვაუწყა, მას სურდა 20/30-ის სახით შეექმნა ადამიანების ჯგუფი, რომელიც აგვიხსნიდა „სიმართლე რა არის“ და'რა არის სწორი. ეს არ გამოუვიდა, ამიტომ ისევ თვითონ, მოქალაქეს'უწევს ამის გაკეთება. ამ ქოსა-ტყუილასაგან თავის გათავისუფლება, ვფიქრობ, მართლაც ეროვნული ღირსების საკითხია, - წერს სამადაშვილი. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სერგო თეთრაძის მეუღლეს პოლკოვნიკის უდანაშაულობის დადგენილება გადასცეს



პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის მეუღლე ნანა თეთრაძე და ადვოკატი მაგდა კოტრიკაძე მთავარ პროკურატურაში იმყოფებოდნენ.

პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის ოჯახს მთავარმა პროკურატურამ ის დადგენილება გადასცა, რომლის მიხედვითაც, 2011 წელს ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული სერგო თეთრაძე უდანაშაულო იყო და მის საქმეში მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ფიქსირდებოდა.

– სერგო თეთრაძის მიმართ შეწყდეს სისხლის სამართლებრივი დევნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსის 105 -ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, - ნათქვამია დადგენილებაში, რომელსაც ხელს აწერს საგამოძიებო განყოფილების პროკურორი მაია ჯვარშეიშვილი. (pia.ge)

**● ახლაც გამოვიდეს რომელიმე ელჩი და თქვას რამე, გააკეთოს განცხადება, რომ ვინც უდანაშაულო ადამიანი ჯერ დააკავა, შემდეგ კი არაადამიანური წამებით მოკლა, სასწრაფოდ დაისაჯოს, ოღონდ დაისაჯოს შემსრულებელთან ერთად წამქეზებელ-მიმთითებელიცო, არ შეიძლება? შეიძლება კი არა, ასეც უნდა მოხდეს, თუმცა...**

## „რა დროს ახალ-ახალი პარტიების შექმნაა ისევ ამ ფეოდალის სასარგებლოდ?!!!!“

პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი „ფეისბუკში“ სტატუსს აქვეყნებს:

– ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე რომ ზვიად კვაჭანტირაძე იქნება;

სასამართლო რომ ისე მოიქცევა, როგორც „რუსთავი 2“-ის მიმართ იქცევა და არა აქვს მნიშვნელობა ეს ტელევიზია ვის მოწონს და ვის არა;

ამდენი ხნის განმავლობაში რომ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანები გეყოლება და ბრალს ვერ უმტკიცებ;

ივანიშვილი რომ ღია განაცხადს აკეთებს, რომ ის მართავს არაფორმალურად ქვეყანას;

მოკლედ — ქვეყანაში ფეოდალური წყობილება რომ გაქვს....

ამ ყველაფრის მერე აღარ უნდა იკითხო, ვიზალიბერალიზაციაზე რატომ გითხრეს უარი!

დაბოლოს, ყველაზე მთვარი:

ივანიშვილის მიერ ნარჩევი რეგვენების დაწინაურება ყველა სფეროში ნუ გვაფიქრებინებს იმას, რომ ეს ყველაფერი უგუნურების გამო ხდება!

სწორედ იმიტომაა ასეთი ბრიყვები მთავრობაშიც და არა მხოლოდ მთავრობაში შერჩეული, რომ



საქართველო სრულიად გამიზნულად ცივილიზებული სამყაროსგან იზოლაციაში მოექცეს!

ჩვენი ქვეყნისთვის იზოლაცია ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს სვლას რუსეთისკენ!

გაუნათლებელი, უკულტურო და უინტელექტო ივანიშვილი ამ საქმეს სრულიად გააზრებულად აკეთებს და სანამ ეს თაღლითი კაცი თავის სისტემიანად ფლობს და მართავს საქართველოს, უგუნურები ჩვენ გამოვდივართ და არა ეს შულერი!

რა დროს ახალ-ახალი პარტიების შექმნაა ისევ ამ ფეოდალის სასარგებლოდ?!!!!

გემია მისახედი!

კმარა!!!!!!!!! (news.ge)

## კორცხელის ინციდენტში მონაწილე პირების ადვოკატი დაპირისპირების ვიდეოს ავრცელებს



კორცხელის ინციდენტში მონაწილე სპორტსმენების ადვოკატმა მედიას ვიდეოჩანაწერი უჩვენა. ზურაბ ბელთაძის განცხადებით, ვიდეოში კარგად ჩანს, როგორ ურტყამენ სპორტსმენებს ხელკეტებს უცნობი პირები. ადვოკატის თქმით, ეს პირები „ნაციონალური მოძრაობის" წევრები არიან. ზურაბ ბელთაძე აპირებს ვიდეო საგამოძიებო ორგანოში მიიტანოს და ინციდენტში მონაწილეთა იდენტიფიცირებას მოითხოვს.

– ამ ჩანაწერში ნათლად ჩანს, როგორ სცემენ ხელკეტების გამოყენებით „ქართული ოცნების" აქტივისტებს, კერძოდ, სპორტსმენებს, რომლებიც დღეს ბრალდებულები არიან სისხლის სამართლის საქმეზე ხულიგნობის მუხლით. მე მინდა გამოძიებას ვთხოვო, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ ამ ვიდეოს წარვუდგენთ, მოხდეს ამ პირთა იდენტიფიცირება. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ადამიანები, რომლებიც იქ მივიდნენ და რომელსაც მოჰყვა შემდეგ კონფლიქტი და პროვოცრება, იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის" წევრები, - განაცხდა ბელთაძემ. (news.ge)

## უპრეცედენტო ფაქტი — ბანკიდან მეანაბრის კუთვნილი 2 მილიონი გაქრა



სკანდალი საბანკო სისტემაში – ერთ-ერთი ბანკიდან მეანაბრის კუთვნილი 2 მილიონი ლარი გაუჩინარდა.

საქმე ეხება კომპანია „ბიელბი“-ის კუთვნილ თანხას. ინფორმაციას კომპანიაშიც ადასტურებენ, თუმცა განმარტავენ, რომ საქმის დეტალებზე სპეციალურ ბრიფინგზე ისაუბრებენ, სადაც ცნობილი გახდება, რომელ ბანკზეა საუბარი.

– ეს გახლავთ საქართველოს საბანკო სისტემაში ერთ-ერთი საბანკო დაწესებულების მიერ მეანაბრის უფლებათა დარღვევის უპრეცედენტო ფაქტი. ბანკმა მიითვისა ამ საბანკო დაწესებულებაში განთავსებული მეანაბრის 2 000,000 მილიონ ლარამდე თანხა. ჩვენი მიზანია, ბანკში განხორციელებული თანხის დაუფლების სქემის დეტალების გაშლით მოვახდინოთ ამ ბანკის სხვა მეანაბრეთა გაფრთხილება, მათი უფლებების განმარტება, სხვა შესაძლო დარღვევების პრევენცია და დროული აღმოფხვრა, თუკი ასეთი იგეგმებოდა, ან უკვე განხორციელდა. შესაბამისად, გაჟღერებული იქნება ბანკის სახელი და სხვა საინტერესო დეტალები, — განმარტავენ კომპანია „ბიელბი“-ში. (primetimenews.ge)

## ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალი ქართულ კინოში - თინათინ ვარდანაშვილი გარდაიცვალა



თინა ვარდანაშვილი, ხათუნას როლის შემსრულებელი ფილმში „როცა აყვავდა ნუში“ - მთელმა საქართველომ ამ როლით გაიცნო.

ფილმი 1972 წელს გამოვიდა ეკრანებზე.

ნაწყვეტი ინტერვიუდან:

„- ვინ შეგარჩიათ ფილმისთვის?

- მაშინ ხშირად დადიოდნენ ხოლმე სკოლებში რეჟისორები და ეძებდნენ პერსონაჟებს. მეც ასე ამარჩიეს. ძალიან გამიხარდა, მივედი სინჯზე, 16 წლის ვიყავი, იმ წელს ვამთავრებდი სკოლას. ძალიან მინდოდა კინოში გადაღება, როგორც ყველა ჩემი ასაკის გოგონას. სინჯების მერე სამი თვე არავინ გამომხმაურებია, მერე გავიგე, რომ გადაღებები დაიწყეს და როლზე მარინა ჯანაშია დაამტკიცეს. გული დამწყდა, მაგრამ რას ვიზამდი? წარმოდგენა არა მაქვს, რა მოხდა, დიდი ხნის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, დამირეკეს და მითხრეს - სასწრაფოდ გამოცხადდი კინოსტუდიაში, გადაღებებს თავიდან ვიწყებთ და მთავარ როლზე ხარ დამტკიცებულიო“. (news.ge)

**„ალია“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს!**

## „აიფონ“ და „ეფლ სითი“ ნახმარ ტელეფონებს ყიდდაო

„აიფონ+"-სა და „ეფლ სითის" მაღაზიებში შესვლის მიზეზი საგამოძიებო უწყებაში განმარტეს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროს გიორგი გრძელიშვილის განცხადებით, განხორციელებული საკონტროლო შესყიდვების შედეგად გაირკვა, რომ რამდენიმე მოდელი უკვე ნამყოფია ექსპლუატაციაში.

– საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება ორი კონკრეტული შპს-ს მიმართ. ეს არის „აიფონ+" და „ეფლ სითი". გამოძიების ფარგლებში ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის განვახორციელეთ საკონტროლო შესყიდვები და სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა მოვიდა, სადაც წერია, რომ ტელეფონები არ არის ქარხნულად ახალი და უკვე ნამყოფია ექსპლუატაციაში, შესაბამისად, ტელეფონები, რომლებიც იყიდებოდა მაღაზიაში როგორც ახალი, ვფიქრობ, მნიშვნელოვანად აზარალებდა მომხმარებელს, -განაცხდა გრძელიშვილმა. (news.ge)

## „სახსრების მობილიზაცია არ ნიშნავს დიდ წარმატებას პოლიტიკაში“



ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, მხოლოდ მაისის თვეში პოლიტიკურმა პარტიებმა შემოწირულების სახით ჯამში 1 957 899 ლარი მიიღეს. ყველაზე მეტი შემოწირულება – 1 370 745 ლარი მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ" მიიღო, ხოლო ყველაზე ნაკლები 120 ლარი „კონსერვატიულმა პარტიამ".

შემოწირულობის მხრივ მეორე ადგილზე გასული პაატა ბურჭულაძის პარტიის – „სახელმწიფო ხალხისთვის" ყველაზე მსხვილი შემომწირველები თავად პაატა ბურჭულაძე და მისი შვილები არიან. პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, მაისში პაატა ბურჭულაძემ საკუთარ პარტიას 60 000 ლარი შესწირა. 60 000-60 000 ლარი „სახელმწიფო ხალხისთვის" ანგარიშზე გადარიცხული აქვთ ბურჭულაძის შვილებს – შუქრი და ალექსანდრე ბურჭულაძეებს. გარდა ამისა, პარტიას მაისში 60 000 შესწირა „ტოიოტა ცენტრის" დამფუძნებელმა ირაკლი გურჩიანმაც.

რაც შეება მესამე ადგილზე გასულ „პატრიოტთა ალიანსის" შემომწირველებს, ირმა ინაშვილი ამბობს, რომ პარტიას არ ჰყავს მსხვილი ბიზნეს შემომწირველი. მისი თქმით, შემომწირველები ძირითადად ამ პარტიის წევრები, ან უბრალოდ მხარდამჭერები არიან. მისივე თქმით, პარტიის შემომწირველია ფრიდონ ინჯია რომელიც პარტიის წევრია, ასევე ბიზმესმენი ვახო ბეთიაშვილი.

პოლიტიკური პარტიების განვითარებისთვის და მით უმეტეს საარჩევნო პერიოდისთვის საჭიროა სახსრები, ეს არახალია, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკური პროცესისთვის მნიშვნელოვანია ვინ არიან პარტიის შემომწრველები.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ სახსრების მობილიზაცია არ ნიშნავს დიდ წარმატებას პოლიტიკაში. პოლიტიკა უფრო ცბიერი რამეა და წარმატების გარანტიას მაშინც კი არ იძლევა, როდესაც პარტიის ანგარიშშზე მობილიზებულია დიდი ფინანსები.

„პოლიტიკას, პოლიტიკური კონკურენტები სჭირება იმისთვის, რომ შედეგი მოიტანოს. რაც შეეხება ბურჭულაძეს, რომელიც მეორე ადგილზეა დაფინანსების მხრივ, ოჯახის წევრები რომც არ ყოფილიყვნენ, ბევრ ისეთ ადამიანთან აქვს კონტაქტი, რომ შეუძლია დიდი თანხის მობილიზაცია. რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსს" ჩემთვის ჯერჯერობით, გაუგებარია ასეთი რეიტინგი დაფინანსების საკითხებში. ალბათ, დროთა განმავლობაში გაირკვევა ამის მიზეზი და სავარაუდოა, რომ ეს გახდება მედიისა და პოლიტიკოსების მსჯელობის საგანი. ასე რომ, ამ პარტიას მოუწევს ფრჩხილების გახსნა. პოლიტიკური პარტიები გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე და სავსებით ლოგიკურია, რომ მათი დაფინანსების წყაროები იყოს გამჭვირვალე", – აცხადებს საყვარელიძე.

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილისთვის გაკვირვებას არ იწვევს „ქართული ოცნების" უხვშემოსავლიანობა, პარტიისა, რომელსაც მისივე თქმით, მოუწევს კიდევ ერთი, ამჟამად უკვე სატელიტური პარტიის დაფინანსება, რომელსაც თამაზ მეჭიაური თავკაცობს. რაც შეება ბურჭულაძეს, ცისკარიშვილი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში პარტიის შემომწირველთა ვინაობა გამჭვირვალეა.

„რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსს", ჩემის აზრით, აქ რაოდენობრივად უფრო მეტია შემომწირველი, ვიდრე პირველ და მეორე ადგილზე გასული პარტიების შემთხვევაში. დიახ, სწორდ ადამიანების რაოდენობა არის ბევრად უფრო მრავალი, ვიდრე სუბიექტებისა, რომლებიც ფინანსური წყაროებით ამარაგებენ პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს. გაივლის ორიოდე თვე და უფრო დამჯარებელი ვარაუდი გვექნება იმისა, ვინ საიდან და რის საფუძველზე იქნება პირნათელი თავისი ამომრჩევლის წინაშე. თუკი დროის ცვლის პროპორციულად იმატებს „პატრიოტთა ალიანსის" შემოსავალიც, მაშინ, ალბათ, კიდევ რაიმე სხვა წყარო იქნება მოსაძებნი, გარდა მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლებისა. თუ არჩევნებამდე არ მოესწრო ვიზალიბერალიზაციის საკითხის პოზიტიურად გადაჭრა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ პარტიების შემოსავალიც გაიზრდება", – აღნიშნა ცისკარიშვილმა. (for.ge)

## ქუთაისში მკვლელობა მოხდა




50 წლამდე მამაკაცი ყოფილმა მეზობელმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა. დაპირისპირების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. (pia.ge)

## გია ნოდია: გვყავდა ბუღალტერი განათლების მინისტრი, ახლა კი გვეყოლება „აიტიშნიკი“



განათლების საკითხებში ექსპერტი გია ნოდია განათლების მინისტრად ალექსანდრე ჯეჯელავას დანიშვნას ეხმიანება.

„ივანიშვილის ინტერვიუთი გამოწვეული აჟიოტაჟის ფონზე, პრემიერმა კვირიკაშვილმა პირველი მნიშვნელოვანი საკადრო გადაწყვეტილება მიიღო (ვვარაუდობ, მართლაც მისი გადაწყვეტილებაა) და განათლების მინისტრად „აიტიშნიკი“ მოიყვანა. შეიძლება გადასარევი და ჭკვიანი ადამიანია ეს სანდრო ჯეჯელევა, მაგრამ მისი ბიოგრაფია განათლების მინისტრისთვის ცოტა უცნაურია (ისევე, როგორც წინამორბედის ბიოგრაფია იყო უცნაური). გვყავდა ბუღალტერი, გვეყოლება „აიტიშნიკი“.

ისე, არაფერს ვერჩი, წარმატებებს ვუსურვებ, იყოს კარგი მინისტრი, სანამ იქნება“, - წერს ნოდია. (sazogadoeba.ge)

## „ხუტა უფროსი რჩება

„მიშვებდნენ და არ მიშვებენ, მივდიოდი და არ მივდივარო“ — „დაიჩივლა" სამეგრელოს „ღუბერნატორმა“ და მკლავები დაიკაპიწა. შონია, კარგი, შონია, თურმე მასზე „თლათ უფროსის" „ნუმერ" პირველი რჩეული (ამ ეტაპზე) დიდ იმედებს ამყარებს, დავალებებსაც აძლევს და სკამსაც უმაგრებს.

თბილისიდან დაბრუნებულმა სამეგრლო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორმა, ლევან შონიამ, რაიონის გამგებლებთან დახურული „კრება“ ჩაატარა და როგორც „თაიმერისთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, დამსწრე საზოგადოებას გააცნო პრემიერ-მინისტრსა და მას შორის შეხვედრის დეტალები.

„მეგობრებო, დაწერილი მქონდა განცხადება წასვლის შესახებ. პრაქტიკულად ყველასთვის ცნობილი იყო ის სამოქმედო გეგმა, რომელსაც ჩემი წასვლის შემდეგ განახორცილებდა სამხარეო ადმინისტრაცია, მაგრამ კვირიკაშვილმა მითხრა დარჩი და მოიგე არჩევნებიო. მეც დავთანხმდი. ასე რომ, მეგობრებო, მე ვრჩები ჩემს თანამდებობაზე და რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მოვიგო არჩევნები“ — ასე მიმართა ლევან შონიამ დახურულ თათბირზე გამგებლებს და რაკი თავად „ფერხულში" ჩაება, სავარაუდოდ „ხუტა უფროსს" „საიდუმლო სერობის" მეორეხარისხოვანი გმირები აუბამენ მხარს. მარტო კაცი ჭამაშიც ცოდვაა და არჩევნებში მითუმეტეს, კარგი ბიჭია შონია, არ აწყენინებენ … ალბათ.

გარდა ამისა, „თაიმერისთვის" ცნობილი ხდება, რომ კორცხელის ინციდენტის „შემქნელი" იყო ლევან შონია, აგრეთვე, უშიშროების კადრი გოგი ნაჭყებია და ზუგდიდის საკრებულოს შეფი ლაშა გოგია. (Taimeri)

## თბილისის მერიაში პენსიონერებისთვის ერთჯერადი დახმარების გაცემას უარყოფენ



გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს თბილისის მერია დედაქალაქში მცხოვრები პენსიონერებისთვის ერთჯერად მატერიალურ დახმარებას გასცემს, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამის შესახებ ინფორმაციას მერია ავრცელებს.

„მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურსა და გამგეობებში მეორე დღეა ფინანსური დახმარების გაწევის თხოვნით, თბილისის სხვადასხვა რაიონში მცხოვრები პენსიონერებისგან ათეულობით განცხადება შემოდის.

თბილისის მერია აღნიშნულ ფაქტს დეზინფორმაციას და მიზანმიმართულ კამპანიას უწოდებს, მოსახლეობას კი სთხოვს, არ აჰყვეს ცრუ ინფორმაციას", – აცხადებენ მერიაში. (news.ge)

## „ბანკირის თვალით ყურება პოლიტიკაში არის დამღუპველი“



„თეთრების" ლიდერი, თემურ შაშიაშვილი ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას ეხმაურება:

„მე არ ვარ ბიძინა ივანიშვილისადმი მტრულად განწყობილი. ეს არის პიროვნება, რომელმაც ბევრი გააკეთა საქართველოსათვის და ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მაგრამ ის შევიდა იმ სფეროში, რომელიც არ იცის. შეიძლება იცოდე საბანკო საქმე, ბიზნესი, ბუღალტერია, მაგრამ პოლიტიკა სხვა საქმეა — ბანკირის თვალით ყურება პოლიტიკაში არის დამღუპველი.

ადრეც ვთქვი და ვიმეორებ: ვინც კი წარმოგვიდგინა, ყველაზე იძახის, შევცდიო. მოიყვანა გამოუცდელი პრემიერ-მინისტრი, ამტკიცებდა, წარმატებულიაო და ეს კაცი საერთოდ გაქრა, არსად აღარ ფიგურირებს. თუ წარმატებული იყო, მაშინ სად არის? პრეზიდენტში შევცდით, ქალაქის მერში შევცდით, ვინ გაგვიმართლა? არავინ!.. თავად მინისტრები და სხვა თანამდებობის პირები არიან დიდ გაუგებრობაში და მარჩიელობენ, რა მოეწონება ან არ მოეწონება ივანიშვილს. მითხარით ერთი პიროვნება, რომელიც მისი ბანკიდან ან მისი გარემოდან არ დაინიშნა თანამდებობაზე, მე არ ვიცნობ ასეთ ხალხს" – აცხადებს შაშიაშვილი. (sazogadoeba.ge)

## რუსი დეპუტატი სერგეი ლავროვს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას სთხოვს



რუსეთის დუმაში საგარეო საქმეთა სამინისტროს მოუწოდებენ, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე იფიქრონ. რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატაში დარწმუნებულები არიან, რომ კონფლიქტებმა გავლენა არ უნდა იქონიოს ორი ქვეყნის ტრადიციულ კულტურულ და ისტორიულ სიახლოვეზე.

საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მოთხოვნით ფრაქცია „ლიბერალ-დემოკრატების" წევრი, დეპუტატი ვიტალი ზალოჩევსკი გამოდის. რუსული მედიის ინფორმაციით, მან დეპუტატების შესაბამისი მოთხოვნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს გადაუგზავნა.

ზალოჩევსკის აზრით, 2008 წლის მოვლენებიდან საკმარისი დრო გავიდა და საქართველოს ხელისუფლებაში სხვა ადამიანები მოვიდნენ. დეპუტატი იმედოვნებს, რომ საქართველოს პრობლემის ფონზე, რაც ევროინტეგრაციას უკავშირდება, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენით შესაძლებელი გახდება თბილისის ყურადღების მიქცევა ევრაზიული ინტეგრაციის პერსპექტივებისადმი.

„რუსეთმა უარი არ უნდა თქვას საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე და პერსპექტივაში ის აღდგება. დღეს ამ მიმართულებით საჭიროა გაძლიერებული მუშაობა, მეგობრულ-ძმური ურთიერთობების რეანიმირება, წარსული კონფლიქტებიდან დასკვნების გამოტანა და ერთობლივი განვითარების გზით სვლა. ძლიერია ის, ვისაც საკუთარი შეცდომების აღიარება შეუძლია", – აცხადებს რუსი დეპუტატი. მისივე თქმით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენით საქართველოც არის დაინტერესებული. (ინტერპრესნიუსი)

# „მთელი ამ ხნის განმავლობაში თბილისის მერია გვატყუებდა ჩვენ, სამოქალაქო სექტორს, საქართველოს მოსახლეობას და თავად დაზარალებულებსაც!“

## რას პასუხობს თბილისის მერია ბრალდებებზე?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკო ტრანსპორტ ცენტრი“ „ალიას“ 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა ადვოკატირებისა და მონიტორინგის შედეგებს აცნობს.

**სულ რამდენმა მოქალაქემ იზარალა ავტომობილით, მათგან რამდენს აუნაზღაურდა ზარალი, რამდენს არა და რა მოტივით, ასევე, რა ოდენობის საბიუჯეტო სახსრები გაიხარჯა ამ დრომდე ამ პრობლემისთვის? რას ურჩევენ იმ ადამიანებს, რომლებსაც დღემდე არ ანაზღაურდათ ზარალი?**

**„ალიას“ „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**








– სტიქიის შედეგად, დაზარალდა საქართველოს ასობით მოქალაქე, ადამიანებმა დაკარგეს საცხოვრებელი სახლები, უძრავ-მოძრავი ქონება, თითქმის ყველაფერი, რაც მათ გააჩნდათ, ქალაქს მიადგა ინფრასტრუქტურული ზიანი, განადგურდა საგზაო ინფრასტრუქტურა, რეკრეაციული ზონები და სხვა. მთელი წლის განმავლობაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „კოალიცია საზოგადოებრივი ორგანიზაცია“ და კოალიციის წევრი ორგანიზაცია „ეკო ტრანსპორტ ცენტრი“ ვეწეოდით საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენის პროცესის მონიტორინგს და ასევე, ვეწეოდით იმ დაზარალებული მოქალაქეების ადვოკატირებას, ვისი სატრანსპორტო საშუალებაც დაზიანდა, ან დაიკარგა სტიქიის შედეგად. ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით 200 ავტოსატრანსპორტო საშუალება დაზიანდა, მათგან მცირედი ნაწილი იყო დაზღვეული. მკითხველს ერთი დეტალი მინდა შევახსენო – სტიქიის დღეებში საქართველოს ექსპრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ, თუ სახელმწიფო ვერ გამონახავდა საკმარისი რაოდენობის ფინანსურ რესურსებს, რომ ზიანი ყველა დაზარალებულს აუნაზღაურდებოდა, ამას ის გააკეთებდა. ძალიან ბევრი დაზარალებული მოქალაქისთვის, ეს წესი და ა.შ. თუ ასე არ მოხდებოდა, ჩვენ მზად ვიყავით, მიგველო სხვა ზომები, ეს კი შესაძლოა ყოფილიყო საპროტესტო აქცია და პროტესტის სხვადასხვა ფორმები. ჩვენ მზად ვიყავით, ყველა ხერხისთვის მიგვემართა. გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, აუნაზღაუროს მოქალაქეებს სტიქიით მიყენებული ზარალი, სტიქიის შედეგებზე მთლიანი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახელმწიფო უწყებებს, სწორედ მასი დაუდევრობისა და არაეფექტური საქმიანობის გამო მივიღეთ ძალიან მძიმე შედეგი. როცა თბილისის მერიაში გააკეთეს განცხადება, იმის თაობაზე, რომ მერიამ გადაწყვიტა, ყველა მოქალაქეს, ვისი სატრანსპორტო საშუალებაც დაზიანდა სტიქიის შედეგად, აუნაზღაუროს ზიანი და გასცეს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია – ეს იყო ჩვენთვის ერთ-ერთი გამარჯვება და რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტი, ჩვენ შევწყვიტეთ ადვოკატირების კამპანია და გადავედით მონიტორინგის პროცესში. როგორც საქართველოს ამჟამინდელ მთავრობას სჩვევია, პროცესი იყო დროში გაწელილი. ჯერ უნდა შეემუშავებინათ კომპენსაციის გაცემის წესი, შემდეგ ეს წესი უნდა განეხილა საკრებულოს, შემდეგ უნდა დამტკიცებულიყო დაუკავშირდით რამდენიმე დაზარალებულს და აღმოჩნდა, რომ მათ საერთოდ არ მიუღიათ კომპენსაცია! გამოდის, მთელი ამ ხნის განმავლობაში თბილისის მერია გვატყუებდა ჩვენ, სამოქალაქო სექტორს, საქართველოს მოსახლეობას და თავად დაზარალებულებსაც. ერთ-ერთი მოქალაქეს სპეცტექნიკა, რომელიც დაზიანდა და განადგურდა, შეძენილი ჰქონდა კრედიტით. ეს ტექნიკა მისთვის იყო შემოსავლის ერთადერთი წყარო. მას ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების გარდა, არ გააჩნდა არაფერი, პირადი საცხოვრებელი სახლიც კი. ამ ადამიანს თბილისის მერიაში განუცხადეს, რომ ისინი ვერ აანაზღაურებდნენ ამ ზარალს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული იყო იმავე მოქალაქის შპს-ზე, რითაც ის საქმიანობას ეწეოდა და იყო თვითდასაქმებული, რაც არის აბსურდული არგუმენტი. ერთ-ერთი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული იყო ფიზიკურ პირზე. ეს ადამიანი გვეუბნება, რომ მთელი წელია, თბილისის მერიისგან იღებს მხოლოდ დაპირებებს კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით.

**— რას ეუბნებიან მიზეზად?**

– თბილისის მერიაში ეუბნებიან, იყო იმედის მომცემი. მიუხედავად ამისა, სტიქიიდან უახლოეს დღეებში გამოჩნდა, რომ თბილისის მერიის დღის წესრიგში არ იდგა ეს საკითხი, ისინი არ აპირებდნენ, გაეცათ კომპენსაცია იმ მოქალაქეებზე, ვისი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიც დაზიანდა სტიქიის შედეგად და აღნიშნეს, რომ, როცა ავტომობილი გვყავს, უნდა გვყავდეს დაზღვეული და ზიანი უნდა აანაზღაურონ სადაზღვევო კომპანიებმა. პირველ ეტაპზე ხელისუფლების რეაქციას ველოდებოდით და მოვითხოვდით, რომ ეს საკითხი საჯარო გამხდარიყო, შემუშავებულიყო და დამტკიცებულიყო კომპენსაციის საკრებულოს სხდომაზე და ბოლოს დაიწყებდა თბილისის მერია კომპენსაციების გაცემას. ბოლოს გაკეთებული განცხადების შესაბამისად, დაზარალებულმა მოქალაქეებმა კომპენსაციები უკვე მიიღეს. გამომდინარე იქიდან, რომ ახლოვდებოდა ერთი წლის თავი 13 ივნისის სტიქიის შემდეგ. ვეცადეთ, გადაგვემოწმებინა ინფორმაცია კომპენსაციების გაცემის შესახებ, რამდენად სამართლიანად მოხდა ეს და იყვნენ თუ არა კმაყოფილი დაზარალებული მოქალაქეები. შედეგი დაგვხვდა საგანგაშო, იმაზე უარესი, ვიდრე ეს შეიძლება წარმოგვედგინა. შემთხვევითობის პრინციპით რომ ავტომობილი გადაცემულია ექსპერტიზაზე და ელოდებიან ექსპერტიზის დასკვნას, რის შემდეგაც მოხდება კომპენსაციის გაცემა. ერთი წელი იმისთვის, რომ ავტომობილს ჩაუტარდეს ექსპერტიზა? ეს უნიათობა და უტიფრობა უკვე ყოველგვარ საზღვარს სცდება. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, თბილისის მერიამ სასწრაფოდ გაასაჯაროოს კომპენსაციის გაცემის შესახებ სრული ინფორმაცია, ვის მისცეს კომპენსაცია, ვისაც ვერ მისცეს, რა გახდა ამის მიზეზი, როდის დასრულდება კომპენსაციების გაცემის პროცესი და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ პროტესტის რადიკალურ ნორმებს, ჩვენ ამ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ და ეს ტყუილი თბილისის მერიას ძალიან ძვირი დაუჯდება. კიდევ ერთხელ მივმართავთ, მოქალაქეებს, ვისი სატრანსპორტო საშუალებებიც დაზიანდა 13 ივნისის შედეგად და ვისაც არ მიუღია კომპენსაცია, გთხოვთ, დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: EcoTransportCentre@Gmail. com, მოგვაწოდეთ ინფორმაცია და ბოლომდე მივიყვანოთ ეს ბრძოლა, ბრძოლა, რომელშიც აუცილებლად გავიმარჯვებთ ჩვენ და დამარცხდება თბილისის მერია.

**„ალია“ თბილისის მერიის პრესსამსახურს დაუკავშირდა. გვაინტერესებდა — სულ რამდენი დაზარალებული ჰყავდათ აღრიცხული, მათგან რამდენს აუნაზღაურდა ზარალი, რამდენს არა და რა მოტივით, ასევე, რა ოდენობის საბიუჯეტო სახსრები გაიხარჯა ამ დრომდე ამ პრობლემისთვის. როგორც მერიაში გვითხრეს, საერთო ჯამში აღრიცხული ჰყავდათ 200-მდე ავტომობილი, მათგან 153 იყო კერძო პირის მფლობელობაში, ხოლო 6 ავტომობილი — დაზღვეული. მათი თქმით, მათგან, 117-ის მეპატრონეს უკვე გაუფორმდა ხელშეკრულება და საერთო ჯამში, ამ დროისთვის გახარჯულია 1 მილიონამდე ოდენობის საბიუჯეტო თანხა. მერიაში არაფერს ამბობენ იმ დაზარალებულებზე, რომლებსაც ამ დროისთვის ზარალი არ ანაზღაურებიათ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### სოფო ნიჟარაძის ცემაში ბრალდებული მომხდარის დეტალებზე საუბრობს



სოფო ნიჟარაძის ცემაში ბრალდებული დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაკითხვაზე იმყოფებოდა. როგორც ირკვევა, მან აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიებას ჩვენება მისცა.

ჩვენების თანახმად, მას სოფო ნიჟარაძესთან მხოლოდ დალაპარაკება სურდა, თუმცა სოფო ნიჟარაძემ უხეშად უპასუხა, რასაც ინციდენტი მოჰყვა.

ბრალდებულმა ასევე განაცხადა, რომ მას სოფო ნიჟარაძისთვის მძიმე დაზიანება არ მიუყენებია და არც სასწრაფო დახმარების რამდენიმე ბრიგადა ყოფილა საჭირო. მისთვის არც ის ყოფილა ცნობილი, რომ კონცერტი პირდაპირი ეთერით შუქდებოდა.

მომღერალ სოფო ნიჟარაძეს „Xფაქტორის“ დასრულებისთანავე ფიზიკურად გაუსწორდნენ – სცენაზე უცნობი მამაკაცი აიჭრა და მომღერალს სახეში მუშტი დაარტყა. დამნაშავე ფილარმონიის დაცვამ გაიყვანა, თუმცა მან გაქცევა მოახერხა.

გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელი წარმოშობით ჭიათურელი 32 წლის მამუკა ყაველაშვილია. (pia.ge; )

### როგორი ამინდია მოსალოდნელი საქართველოში — უახლოესი დღეების პროგნოზი



სინოპტიკოსები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 11 ივნისამდე არამდგრად ამინდს და დროგამოშვებით, ხანმოკლე ხასიათის წვიმებს პროგნოზირებენ.

მათივე ინფორმაციით, ზოგან მოსალოდნელია წვიმა ელჭექით. 8 ივნისს თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში გაძლიერდება დასავლეთის მიმართულების ქარი.

10 ივნისამდე ქვეყანაშ საშუალო ტემპერატურა 20-25 გრადუსი იქნება.

სინოპტიკოსები გამოდარებას და ტემპერატურის მატებას 11 ივნისიდან ვარაუდობენ. (pia.ge)

## წნორის საავადმყოფოში მშობიარობის შემდეგ 28 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ წნორის საავადმყოფოში მშობიარე ქალის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება დაიწყო. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, 28 წლის ქალის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 130-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებას გულისხმობს და 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან 3 წლამდე საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ისჯება.

28 წლის იამზე ბერიძე სოფელ სამთაწყაროში ცხოვრობდა. ახალგაზრდა მშობიარობის შემდგომი გართულებებით გარდაიცვალა. ექიმებმა ახალშობილი ბიჭის გადარჩენა შეძლეს. გარდაცვლილის ახლობლები ირწმუნებიან, რომ მშობიარე სრულიად ჯანმრთელი იყო. ისინი წნორის სამშობიაროს მედპერსონალს გულგრილობასა და არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებენ.

გარდაცვლილს 6 წლის გოგონა დარჩა. (ნიუპოსტი)

## „სოთბის“ აუქციონზე ფიროსმანისა და გუდიაშვილის ნახატები გაიყიდა





ნიკო ფიროსმანის ტილო „შველი წყლის პირას“ „სოთბის“ აუქციონზე 629 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ინფორმაციას „სოთბის“ აუქციონი ოფიციალურ გვერდზე ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, „შველი წყლის პირას“ ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა.

ტილო, სახელწოდებით „შველი წყლის პირას“ რუსული მხატვრობის სექციაში იყო წარმოდგენილი და მისი საწყისი ფასი 150 ათასი ფუნტი სტერლინგი გახლდათ.

აუქციონზე ასევე გაიყიდა ლადო გუდიაშვილის ტილო „ჩვენი ნიკო“. ნახატი 75 ათას ფუნტ სტერლინგად გასხვისდა.

ნიკო ფიროსმანის პორტრეტის საწყისი ფასი 4 ათასი ფუნტი სტერლინგი იყო. ლადო გუდიაშვილმა ნახატი 1956 წელს შექმნა.

(ipress.ge)

ფაქტი... მოვლენა... ამბავი...

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

# რას დაპირდა განათლების ახალი მინისტრი „აუდიტორია 115“-ელებს და რას აპირებენ, თუკი მინისტრმა პირობა არ შეასრულა?

## ლევან ლორთქიფანიძე: „მერე არ თქვას ვინმემ, რომ ეს ადამიანები „ნაციონალებმა“, ან სხვა რომელიმე პარტიამ დაქოქა...“



გუშინ სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის წევრებს განათლების ახალი მინისტრი, ალექსანდრე ჯეჯელავა შეხვდა.

**რა საკითხებზე ისაუბრეს მინისტრმა და სტუდენტებმა და რა მოთხოვნები წამოუყენეს განათლების უწყების ახალ ხელმძღვანელს? რას დაჰპირდა მინისტრი და რას აპირებენ სტუდენტები, თუკი მათი მოთხოვნები უმოკლეს ვადაში არ დაკმაყოფილდება?**

**„ალიას“ „აუდიტორია 115“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლევან ლორთქიფანიძე ესაუბრა:**

– ჩვენი საუბარი შეეხებოდა რამდენიმე მთავარ საკითხს, რომლებსაც ბოლო პერიოდში ვაყენებთ დღის წესრიგში. ეს არის უმაღლესი „განათლების შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანა, რომლის საფუძველზეც უნდა გაუქმდეს თვითმმართველობის სტრუქტურა. ასევე, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს რექტორად კენჭისყრა აეკრძალოს და საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტი წევრები ავირჩიოთ. ახლო წარსულში, პრემიერ-მინისტრისგან და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებისგან მივიღეთ პირობა, რომ ჩვენი მოთხოვნები მთავრობის უახლოეს სხდომაზე პარლამენტს წარედგინებოდა. მას შემდეგ მთავრობის ორი სხდომა გაიმართა. არც ერთ სხდომაზე ეს თემა არ განხილულა. ჩვენ გვაინტერესებდა, როდის აპირებს გადაწყვეტილების მიღებას ახალი მინისტრი. თუ მოქმედი პარლამენტი ვერ მოასწრებს ცვლილებებს, გარწმუნებთ, ახალი სასწავლო წელი საშინლად დაიწყება. ამავდროულად, მიღებული გვქონდა დაპირება, რომ შეიქმნებოდა განათლების სტრატეგიული პლატფორმა, რომელშიც თვითმმართველობაზე ბევრად სერიოზულ თემებს განვიხილავდით. არც ეს დაპირება შესრულებულა.

განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირების შესახებ ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი კონცეფცია არსებობს, რომელიც გარეშე რეფერირებისა და ტენუარის სისტემის დანერგვას გულისხმობს. პროექტი მოიწონა მთავრობამ, მაგრამ არ ახორციელებს. გვაინტერესებდა – რატომ? რა უშლის ხელს ამ იდეის განხორციელებას? აგრეთვე, გვაინტერესებდა, როგორ უნდა განვითარდეს უნივერსიტეტი, რომელიც თავისი ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს კომუნალურ გადასახადებსა და პროფესორთა ხელფასებში ხარჯავს? როგორ უნდა განვითარდეს უნივერსიტეტი, რომელიც სტუდენტების ჯიბით ფინანსდება და სახელმწიფოსგან ფინანსური მხარდაჭერა არ აქვს? მოკლედ, გვაინტერესებდა ღარიბი სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსების საკითხი. ასევე, გვაინტერესებდა, ერთი ნორმალური უმაღლესი სასწავლებელი მაინც დაესახელებინათ ჩვენთვის, რომელსაც თავისი საერთო საცხოვრებელი არ აქვს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში რამდენიმე ასეული ადამიანი ძლივს ეტევა, შენობა კატასტროფულ მდგომარეობაშია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაცვლად ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის. მოკლედ, ამ შენობის ბედი გადაუწყვეტელია. შესაბამისად, მას ვერავინ უვლის. საერთო საცხოვრებელი, ზოგადად, სტუდენტთა სოციალური ყოფის ერთი ასპექტია.

**— რა გითხრათ მინისტრმა, რა დაპირებები მიიღეთ მისგან?**

– დაგვპირდა ერთადერთ რამეს, – თქვენი დავალება მიღებულიაო და დრო ითხოვა ხუთშაბათამდე ჩვენ მიერ წამოჭრილი საკითხების გასარკვევად. ამ ეტაპზე, ველით საკითხის გარკვევას და კონკრეტულ პასუხებს მინისტრის მხრიდან. თუ მინისტრი შეიცვალა, წინა მინისტრს რაც გაუკეთებია, წინა მოლაპარაკებებზე რა შედეგებსაც მივაღწიეთ, რა, უნდა დავივიწყოთ? დაველოდებით და ვნახოთ, რა იქნება ხუთშაბათამდე. ნამდვილად ცოტა დროა და ვნახოთ, რას და როგორ გაარკვევს მინისტრი.

**— დღემდე რა უშლიდა ხელს ამ რეფორმების გატარებას და რამდენად რეალურად მიიჩნევთ, რომ ახალი მინისტრი გაატარებს ამ რეფორმებს?**

– ამ შიდასაუნივერსიტეტო რეფორმების განხორციელებას ხელს უშლიდა რამდენიმე მინისტრი – ასე გამოიკვეთა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს. როგორც პრემიერ-მინისტრი, ასევე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მომხრე იყვნენ ამ რეფორმის ჩატარების, მაგრამ სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრსა და ძალოვანი უწყებების მინისტრებს, სურთ, არსებული სტრუქტურა შეინარჩუნონ უნივერსიტეტში.

**— რატომ, რას იგებენ ამით?**

– როგორც მოგეხსენებათ, თვითმმართველობის სტრუქტურები კარგად ორგანიზებული ძალაა, რომელიც ნებისმიერი ახალი პატრონის ნებას შესანიშნავად ასრულებს. ასეთი კარგი შემსრულებელი ორგანიზებული ჯგუფების შენარჩუნება საოცნებოა ნებისმიერი არადემოკრატიული მმართველობის მომხრეთათვის. რაც შეეხება იმას, რას იზამს ახალი მინისტრი, უბრალოდ, შემიძლია, გითხრათ, რომ ახალი მინისტრის ქმედებები გვაძლევს იმედს.

**— იმ შემთხვევაში, თუკი ხუთშაბათს არ იქნება ის შედეგი, რასაც ითხოვთ, რას იზამთ, რას გეგმავთ?**

– მათი პასუხის მიხედვით გავიგებთ, სურს თუ არა მთავრობას უნივერსიტეტის შიდა რეფორმა. შუალედური პოზიცია, დროის გაყვანის სტრატეგიები და ა.შ. ჩვენთან აღარ გაჭრის. იმ შემთხვევაში, თუკი დავინახავთ, რომ არ სურთ რეფორმის განხორციელება უნივერსიტეტის შიგნით, ახალი სასწავლო წელი დაიწყება ძალიან მკაცრი პროტესტის პირობებში და ამ პროტესტის მომზადების პროცესში ჩაერთვება ძალიან ბევრი ადამიანი და მერე არ თქვას ვინმემ, რომ ეს ადამიანები „ნაციონალებმა“, ან სხვა რომელიმე პარტიამ დაქოქა, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი იქნება მათივე შეცდომების შედეგი და არა რომელიმე პარტიის აქტივობისა.

ახალი სასწავლო პროცესის დაწყებამდე კი გაგრძელდება ის კრიზისი, რომელიც არსებობს და კიდევ უფრო გაღრმავდება. ამ დროისთვის დაკავებული გვაქვს თვითმმართველობის და 115-ე აუდიტორია, გავაგრძელებთ ამ რეჟიმში და ამასთანავე, აუცილებლად მივმართავთ პროტესტის ახალ ფორმებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, კანონთან მოვა შესაბამისობაში.

**— რა იცით ექსმინისტრ სანიკიძის გადაყენების თაობაზე, რას შეეწირა?**

– დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, ეჭვიც არ გვეპარება, ექსმინისტრი სანიკიძე შეეწირა უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს. ამ ქალმა ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადადგა უნივერსიტეტის შიგნით ვითარების დასარეგულირებლად. ფაქტობრივად, მან ვერ მიიღო გადაწყვეტილება. შესაბამისად, ადამიანი, რომელიც ვერ იღებს გადაწყვეტილებებს, არათუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრად, არამედ, ზოგადად, მინისტრად არ სჭირდება არავის.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00









1. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
2. აჭარული ცეკვა
3. საკერავი მანქანის ფირმა
4. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
5. ქალაქი იმერეთში
6. მეტიჩარა
7. „განძთა კუნძული“ ავტორი
8. მომღერალი ... მელაი
9. იაპონური თაიგული
10. მხატვარი ავთო ...
11. ძალიან იშვიათი ნივთი
12. მსახიობი არკადი ...
13. ამერიკელი მომღერალი ქალი
14. ტუჩი
15. ... ჩიბურდანიძე
16. ვაზით გაშენებული ადგილი
17. მუსიკოსი სვიატოსლავ ...
18. რეჟისორი ... რიჩი
19. ფიზიკოსი მაქს ...
20. ჩვილის საწოლი
21. გამოკლების ნიშანი
22. მომღერალი რაფაელა ...
23. ჯეიმს კამერონის ფილმი
24. შოტლანდიური ნაგაზი
25. ფალიაშვილის ოპერა
26. ვაქცინაცია
27. აკვიატება
28. პროვინცია ესპანეთში
29. პერსონა ... გრატა
30. იალქანი
31. მსახ. ... მაკგრეგორი
32. მწერალი ტომას ... რიდი
33. ალ. ტოლსტოის მოთხრობა
34. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
35. კულტურიზმი, ანუ ...
36. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
37. ჟამი
38. პრიალა, მოლიპული
39. მომღერალი ... პავლიაშვილი
40. ადამის მეუღლე
41. გოია. „შიშველი ...
42. თევზის ჯიში
43. მსახ. რობერტ ... უმცროსი
44. მღრღნელი ცხოველი
45. მეჩეთის კოშკი
46. დისნეის მულტფილმი
47. მსახიობი ... წულაძე
48. მუხის ნაყოფი
49. თბილისის უბანი
50. ზამბახი
51. სტადიონი რიოში
52. სმენის ორგანო
53. ბრინჯაო
54. სისხლისმწოველი მწერი
55. ვინი პუჰის ავტორი
56. მსახიობი ფილიპ ...
57. მხ/ფ „როცა აყვავდა ...
58. მსახიობი ჯეიმს ...
59. ქალაქი რაჭაში
60. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
61. ... კიხოტ ლამანჩელი
62. გოგოლის მოთხრობა
63. წყალქვეშა კლდე
64. „კოჯრის ტყის სიზმრები“ კნიაზ ...
65. ველური ყაყაჩო
66. მაგნიტი
67. მკითხავი
68. სიმენონის კომისარი ...
69. ინერტული აირი
70. მუსიკალ. საკრავი
71. ადგილობრივი არჩევითი ორგანო
72. მომღერალი მირეი ...
73. სამგზავრო გემი
74. მსახ. ... ვარდალოსი
75. მდინარე თერგის ხეობა
76. ქიმიური ინდიკატორი
77. აფხაზური ხაჭაპური
78. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
79. მდინარე დას. საქართ.
80. ... მოგივა დავითაო
81. პრეზიდენტი ... ობამა
82. მან აღორძინა ოლიმპ. თამაშები
83. პროფესორი ეგნატე ...
84. კომპოზიტორი ... გაბუნია
85. ახლადგამოჩეკილი თევზი
86. დარტყმით ამოღრუცული ადგილი
87. ... კარტერი. „საიდუმლო მასალები“
88. მომღერალი ... რამიშვილი
89. ისტორიული ციხექალაქი კახეთში
90. ვარცხნილობის სპეციალისტი
91. მახრჩობელა გველი
92. ქალაქი ზემო იმერეთში
93. კომპოზიტორი ფერენც ...
94. ასლი (მოძვ.)
95. რუსი მხატვარი
96. მტაცებელი ფრინველის ფრენა
97. მსახიობი ... ფაროუ
98. სახლის გადასახურავი კერამიკა
99. კუნძული ინდონეზიაში
100. წყლის შინაური ფრინველი
101. გაზაფხულის თვე
102. გამხმარი ხილი
103. ... გათეთრდების ყორანი
104. დიდი ნემსი
105. ტემპერატურა ნულს დაბლა
106. ძვირფასი თვლების წონის ერთეული
107. თვალის ფერადი გარსის ანთება
108. მსახიობი ... რუსო
109. თოფის დეტალი
110. ქმედება ალაბედზე
111. ... სიმფსონი (მულტფ.)
112. ხელით ლამაზად ნაკერი
113. გაუშლელი ფოთოლი
114. რაჯას მეუღლის ტიტული
115. რეპტილია
116. საბჭოთა თვითმფრინავის მარკა
117. მსახიობი ... რიშარი
118. კომეტა დედამიწასთან
119. ყვავილი

პასუხები: 1. კარაბადინი; 2. განდაგანა; 3. „ზინგერი“; 4. სარაბანდა; 5. სამტრედია; 6. მატრაკვეცა; 7. სტივენსონი; 8. ივანა; 9. იკებანა; 10. ვარაზი; 11. რარიტეტი; 12. რაიკინი; 13. ენია; 14. ბაგე; 15. მაია; 16. ვენახი; 17. რიხტერი; 18. გაი; 19. პლანკი; 20. აკვანი; 21. მინუსი; 22. კარა; 23. „ავატარი“; 24. კოლი; 25. „დაისი“; 26. აცრა; 27. მანია; 28. ანდალუსია; 29. ნონ; 30. აფრა; 31. ევან; 32. მაინ; 33. „აელიტა“; 34. იკაროსი; 35. ათლეტიზმი; 36. მისისიპი; 37. დრო; 38. სიპი; 39. სოსო; 40. ევა; 41. მახა; 42. კალმახი; 43. დაუნი; 44. თრია; 45. მინარეთი; 46. „არიელი“; 47. ბაადურ; 48. რკო; 49. ელია; 50. ირისი; 51. მარაკანა; 52. ყური; 53. რვალი; 54. მოსკიტი; 55. მილნი; 56. ნუარე; 57. ნუში; 58. დინი; 59. ონი; 60. ლილუ; 61. დონ; 62. „ვიი“; 63. რიფი; 64. ფანტიაშვილი; 65. იორდასალამი; 66. ანდამატი; 67. მარჩიელი; 68. მეგრე; 69. არგონი; 70. აკორდეონი; 71. მუნიციპალიტეტი; 72. მატიე; 73. ლაინერი; 74. ნია; 75. დარიალი; 76. ლაკმუსი; 77. აჩმა; 78. დევი; 79. რიონი; 80. რაც; 81. ბარაკ; 82. კუბერტენი; 83. ფიფია; 84. ნუნუ; 85. ლიფსიტა; 86. კოპი; 87. კრის; 88. ოთარ; 89. გრემი; 90. სტილისტი; 91. ბოა; 92. საჩხერე; 93. ლისტი; 94. კოპიო; 95. რერიხი; 96. ირაო; 97. მია; 98. კრამიტი; 99. იავა; 100. ბატი; 101. მაისი; 102. ჩირი; 103. არ; 104. მახათი; 105. ყინვა; 106. კარატი; 107. ირიტი; 108. რენე; 109. ჩახმახი; 110. რისკი; 111. ბარტ; 112. გვირისტი; 113. კვირტი; 114. რანი; 115. კუ; 116. „ტუ“; 117. პიერ; 118. ჰალეი; 119. ია. იკითხება: ბაბუაწვერა. სამყურა. გვირილა. ყაყაჩო.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## სოციალური ქსელები ქალებზე ცუდ ზეგავლენას ახდენსო



სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, რათა გაერკვიათ, რომელი სქესის წარმომადგენელი უფრო მეტად იყო დამოკიდებული სმარტფონზე.

აღმოჩნდა, რომ ქალები პირდაპირ იტანჯებიან, თუ ინტერნეტთან წვდომა არ აქვთ. უინტერნეტობით გაღიზიანებული ქალების რიცხვი 20 პროცენტი იყო, მაშინ როცა ამ პრობლემით შეწუხებული მამაკაცების რიცხვი ერთ ათეულსაც ვერ აღწევს და სულ რაღაც 9 პროცენტი აღმოჩნდა.

ამერიკელი მეცნიერების მიგნებით კი, ინტერნეტდამოკიდებულ ქალებს შორის კიდევ ერთი ქვეჯგუფი აღმოჩნდა – ახალგაზრდა დედები.

ახალგაზრდა დედები სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებლები არიან. დედები პირდაპირ კვდებიან თავიანთი პატარების სილამაზისა და განსხვავებულობის სხვებისთვის დამტკიცების წყურვილით. იმდენად დამოკიდებული ხდებიან სოციალურ ქსელზე, რომ სხვა სფეროში რეალიზებას ვეღარ ახდენენ.

რაც უფრო ხშირად დებენ საკუთარი პატარების ფოტოებს, მით მეტად სურთ, რომ ფოტომ უამრავი მოწონება დაიმსახუროს. თუ სასურველ რაოდენობას ვერ იღებენ, მძაფრი რეაქცია აქვთ, ღიზიანდებიან და მთელი დღე გაბრაზებულები დადიან. ყველამ ვიცით, რომ მშობიარობის შემდეგ ქალის ემოციური მდგომარეობა ისედაც სუსტია, ბევრი დეპრესიითაც იტანჯება, ასე რომ, ახალგაზრდა დედებო, მოერიდეთ სოციალურ ქსელს და ისედაც დასუსტებულ ჯანმრთელობას ნუ ემტერებით.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მეცნიერების აღმოჩენა: ღმერთის გზავნილი ადამიანის გენში



ჰარვაჰრდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სამეცნიერო სამყაროს აუწყეს, რომ მათ ღმერთის გზავნილი აღმოაჩინეს, რომელიც ადამიანის გენომშია ჩაწერილია, ანუ ორგანიზმის უჯრედში შენახული მემკვიდრული მასალის ერთობლიობაში. დნმ-ის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ნაწილში, წამყვანმა გენეტიკოსებმა 22 სიტყვიერი ფრაგმენტი არამეულ ენაზე აღმოაჩინეს, რომელიც, მათი აზრით, ღმერთის არსებობასა და დედამიწაზე სიცოცხლის შექმნაში მის როლს ამტკიცებს.

შოკისმომგვრელი დასკვნა ღმერთის არსებობის თითქმის უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს. ღმერთის გზავნილი მაშინ აღმოაჩინეს, როდესაც მკვლევარებმა უცნაური მათემატიკური მოდელები შეამჩნიეს, რომელიც გენომის გარკვეულ ნაწილში ჩნდება.

„ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მოდელები ბუნებაში არ გვხვდება", – წერს ჩარლზ უოტსონი, პროექტის წამყვანი მეცნიერი.

„გადავწყვიტეთ, რომ გზავნილების სხვადასხვა ენების მონაცემთა ბაზის მიხედვით ჯვარედინი ანალიზი ჩაგვეტარებინა, – აღნიშნავს მეცნიერი, – გავოგნდით, როცა აღმოჩნდა, რომ ეს მოდელები, რომლებიც დნმ-ში იყო ნაპოვნი, არამეულ ენას შეესაბამება", – დასძენს ის.

აღმოჩენით გაოგნებულ მეცნიერთა გუნდი არამეული ენის ექსპერტებს დაუკავშირდა. სრულიად კოდირებული გზავნილი შეიცავს შემდეგ შინაარსს:- „ჩემო შვილებო, ეს იაჰვეა – ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი".

„ეს არ ნიშნავს, რომ ევოლუციის თეორია არასწორია, – აცხადებს უოტსონი, – ის, უბრალოდ, არასრულია. როგორც ჩანს, ქრისტიანული ღმერთი ნამდვილად იდგა პროცესების საწყისთან".

„როგორც ჩანს, უფალმა დატოვა დაფარული გზავნილი, რომელიც შევძელით, აღმოგვეჩინა ასეულობით წლის შემდეგ, მაშინ, როდესაც მივაღწიეთ ტექნოლოგიების უმაღლეს განვითარებას. ამას ჭეშმარიტად დიდი აზრი აქვს. ამ აღმოჩენამდე შეუვალი ათეისტი ვიყავი. ახლა ჭეშმარიტი ქრისტიანი ვარ. ეს ის მტკიცებულებაა, რომელიც მე მჭირდებოდა, რათა გამეფანტა ჩემი ეჭვები. მეცნიერული გავლენის დამატება რელიგიაზე გამოიწვევს მსოფლიოში რევოლუციურ ცვლილებებს", – აცხადებს უოტსონი.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შვედეთში დამსაქმებელი თანამშრომლებს ყავის დასალევად შესვენებას აიძულებს



შვედეთში ფიკას ტრადიცია ფართოდაა გავრცელებული. ფიკას მიხედვით, სამუშაო დღის განმავლობაში, სულ მცირე, ერთხელ მაინც, შვედები, თანამშრომლებთან ერთად, ყავის დასალევად ან სახლში გამომცხვარი ტკბილეულის დასაგემოვნებლად იკრიბებიან.

ფიკას ტრადიცია იმდენად პოპულარულია, რომ ბევრი კომპანია ყველაზე მშრომელ თანამშრომლებს აიძულებს, შესვენებისთვის დრო გამოყონ.

შვედეთში ფიკა სამუშაო დღის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ჩვენთვის ელექტრონული მიმოწერა ან პრინტერის გამოყენება.

„ფიკა ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია, – ამბობს შვედეთის ქალაქ გეტებორგში მდებარე კაფეების ქსელის, Da Matteo-ს მფლობელი მატს იოჰანსონი, – შვედების უმრავლესობა ფიკაზე დღეში რამდენჯერმე დადის, არა მხოლოდ სამუშაო კვირის განმავლობაში, არამედ შაბათ-კვირასაც".

ბევრ შვედურ კომპანიაში ფიკას შესვენება სავალდებულოა და ამ მიზნით, კომპანიები თანამშრომლებს ყავას უფასოდ ურიგებენ.

ბევრი იფიქრებს, რომ ფიკას ტრადიცია შრომის პროდუქტიულობაზე უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ კვლევები სხვა რამეზე მეტყველებს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, 2014 წელს, შრომის პროდუქტიულობის მხრივ, შვედეთი მე-11 ადგილზე გავიდა, მაშინ როცა იაპონიამ და კორეამ, სადაც გრძელი სამუშაო კვირაა, მე-20 და 30-ე ადგილები დაიკავეს.

შვედურ კორპორაცია „იკეაში" მიიჩნევენ, რომ ყველაზე კრეატიული იდეები და გადაწყვეტილებები სწორედ ფიკას დროს ჩნდება.

ამ მოსაზრებას სრულიად იზიარებს სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის ოფიციალური წარმომადგენელი ანდრეას ოსტრომი.

„კორპორაციული ხელმძღვანელობის შვედური სტილი ძალიან გამორჩეულია, რადგან ნაკლებად იერარქიულია. როცა მმართველობის ჰორიზონტალური სტრუქტურა გაქვთ, მნიშვნელოვანია, ყველას აზრი მოისმინოთ. ფიკა კი სწორედ ამას უწყობს ხელს, ანუ არაფორმალურ ურთიერთობას რიგით თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის", – ამბობს ანდრეას ოსტრომი.

ალბათ, ფიკას დამსახურებაცაა, რომ ყოველწლიურად შვედები მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ერთა შორის მოწინავე პოზიციებს იკავებენ. მაგალითად, შარშან, ევროპულმა სტატისტიკურმა სააგენტომ გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმადაც, ევროკავშირში ყველაზე ბედნიერ ერად თავი დანიამ, ფინეთმა და შვედეთმა დაასახელეს.

*allnews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ზოდიაქოს ნიშნების ინტიმური საიდუმლოებები



ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით ადამიანის მრავალ თვისებაზე შეიძლება საუბარი.

მათ შორის მის სექსუალურ ტემპერამენტსა და აქტივობაზეც. აქედან გამომდინარე, დღეს ზუსტად იმაზე გესაუბრებით, რა სახის ინტიმური სისუსტეები აქვს ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშანს.

ვერძს – უხეში სექსი ხიბლავს, პარტნიორზე დომინირება.

კურო – შეხებით იგზნება. მისი სუსტი წერტილია ყელი.

ტყუპები – ლიბიდო პირდაპირ კავშირშია ენასთან.

კირჩხიბი – სექსში მორცხვია. დაელოდეთ, სანამ ემოციურად გაიხსნება.

ლომი – ყოველთვის ფიქრობს იმაზე, რამდენად აჯობა ლოგინში პარტნიორის ყოფილს.

ქალწული – სექსის დროსაც იმას აკვირდება, ფეხები თუ აქვს სუფთად გაპარსული და როგორ გამოიყურება სხვადასხვა პოზაში.

სასწორი – სექსზე მეტად მოფერება უყვარს. მასთან დიდი ყურადღება დაუთმეთ ე.წ. „პრელუდიას".

მორიელი – სადომაზოხისტური მოთხოვნები აქვს სექსში. მოსწონს ე.წ. „ბდსმ".

მშვილდოსანი – ექსპერიმენტებზე გიჟდება. მასთან, ამ მხრივ, ლოგინში არ მოიწყენთ.

თხის რქა – გარეგნულად ცივია, მაგრამ სექსუალურად ძალზე აქტიური.

მერწყული – ცხოვრებაში ერთხელ მაინც ინტერესდება თავისივე სქესთან ურთიერთობით.

თევზები – მიდრეკილია პარტნიორის მორჩილებისკენ. მოსწონს ე.წ. „მაზოხისტური" სექსი.

*astrologi.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99



მურთაზია განგრეულ კაიფშია და კაკუნის ხმა მოესმა.

– ვინ გნებავთ?

– პოლიციაა, გააღე კარი!

– ერთი წუთით უნდა მოითმინოთ, ტუალეტში ვარ, გესმით?

– გვესმის კი არა, გხედავთ, ეგ ტუალეტი კი არა, ტელეფონის ჯიხურია და დროზე გამოეთრიე!..

*****

– ოფიციანტ, ეს რა არის, ეს ბიფშტექსია? ეს თუ ბიფშტექსია, მაშინ მე იდიოტი ვყოფილვარ!

ოფიციანტმა შეხედა კლიენტს.

– რას ამბობთ, ბატონო, ეს ბიფშტექსია, ნამდვილი ბიფშტექსი.

*****



– შალიკია, მაინტერესებს დილაობით თუ დარბიხარ?

– როგორ არა შე კაცო, დავრბივარ თანაც ღრიალით: სადაა ჩემი მანქანის გასაღები, ჩემი ტელეფონი ვინ აიღო? მომიტანეთ პერანგი და ჰალსტუხი, სამსახურში ვაგვიანებ!

*****

პატარა რეზიკო, დეიდასთან მივიდა.

– ლელა დეიდა, მადლობა მინდა გადაგიხადოთ საჩუქრისთვის.

– რატომ შეწუხდი, რეზიკო, არ არის საჭირო.

– ეგ დედაჩემსაც ვუთხარი, არ არის საჭირო-მეთქი, მაგრამ დედამ, უზრდელობააო.

*****




ფეხბურთის ორი გულშემატკივარი საუბრობს.

– ანზორ, ამ ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობ?

– რა თქმა უნდა, ჩვენებს.

– დასაწყისში ხო, მაგრამ მერე ვის გულშემატკივრობ?

***მოამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთი „ალია" იზიარებს თქვენს მწუხარებას

შვილები ლუდა, ალიკა, მაია, რძლები ნინო ლორთქიფანიძე, მარიკა ჩიკაშუა, შვილიშვილები ლევანი, გიორგი დეისაძეები, ნინო, დათო გაჩეჩილაძეები, რუსიკო, შამშე, შვილთაშვილები, მძახალი ლია ლორთქიფანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუნუ დეისაძე**

**პანაშვიდი:** 8 ივნისს; **მისამართი:** კრწანისის №3, გორგასლის 61-ე კორპ. **გამოსვენება:** 9 ივნისს, 3 საათზე, ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

შვილი მაია ბოკუჩავა, შვილიშვილები რუსიკო და შამშე, შვილთაშვილები ანასტასია და ნატალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან დედისა და ბებიის

**ნუნუ დეისაძე**

გარდაცვალებას.

**პანაშვიდი:** 8 ივნისს; **მისამართი:** კრწანისის №3, გორგასლის 61-ე კორპ. **გამოსვენება:** 9 ივნისს, 3 საათზე, ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

გაზეთი „ალია" იზიარებს თქვენს მწუხარებას

## მოშინაურებულ გრიზლის პაბში სიარული და ბილიარდის თამაში უყვარს



მოსიყვარულე წლინახევრის გრიზლი, სახელად ბილი, კანადელმა მომთვინიერებელმა მაკრ დიუმამ და მისმა მეუღლე დონამ გასულ წელს „იშვილეს". მას შემდეგ დათვის ბელი წყვილს გვერდიდან აღარ შორდება.

114-კილოგრამიანი დათუჩა ქალაქ ვანკუვერში, კერძო სახლში ცხოვრობს და თურმე, ძალიან უყვარს აუზში ბანაობა, ადგილობრივ პაბში ბილიარდის თამაში და პატრონთან ჭიდაობა. საღამოობით კი ის ტელევიზორის წინ სავარძელში ჯდება და საყვარელ გადაცემებს მთელ ოჯახთან ერთად უყურებს.

– ბილი ძალიან კეთილი და გონიერია და ყველაფერს ძალიან ადვილად სწავლობს, – ამბობს მარკ დიუმა.

მისივე თქმით, დათვის ყველაზე საყვარელი საჭმელი მურაბაა და ხშირად ყოფს ცხვირს ქილაში, როცა პატრონებთან ერთად ტყეში პიკნიკზე მიდის.

***drunov.ru***

## განიერი წელი — დაცვა გულისთვის



რაც უფრო წვრილი წელი აქვს ქალს, მით კმაყოფილი და ბედნიერია ხოლმე, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, იდეალურ მდგომარეობაში ასეთი ადამიანები სულაც არ არიან.

კალიფორნიელი მეცნიერები განიერ წელს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების დამცველს უწოდებენ, რაც, პრინციპში, ეწინააღმდეგება გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მცირე წონა გულის ჯანმრთელობას განაპირობებს.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ წელის არეში არსებული ცხიმი პაციენტებს გართულებებისგან იცავს.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა 28 წლის მანძილზე გრძელდებოდა და, საერთო ჯამში, 2718 ადამიანის მდგომარეობის შესწავლა მოხდა, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა უკმარისობას განიცდიდნენ. დიდად ითვლებოდა წელის გარშემოწერილობა: მამაკაცებისთვის 40 დიუმი და მეტი, ხოლო ქალებისთვის – 37 დიუმი და მეტი.

ეს არის 102 და 88 სანტიმეტრი, შესაბამისად. დადგინდა, რომ გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის ფონზე წარმოქმნილი კრიზისის შემდეგ გადარჩენის გაცილებით მაღალი შანსები განიერი წელისა და შთამბეჭდავი წონის მქონე ადამიანებს უფრო ჰქონდათ, ვიდრე სუსტებს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***tainamira.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**8 ივნისი:** დღეს არავინ დაგეთანხმებათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მართალი იქნებით. ასე რომ, თუ დაბრკოლება არ შეგხვდათ, დაფიქრდით, ყველაფერს სწორად აკეთებთ?

**კურო 22.04-21.05**

**8 ივნისი:** რატომღაც, მარტოობა მოგინდებათ, მაგრამ ამისთვის ძალისხმევა არ დაგჭირდებათ, უბრალოდ, ყველა გააფრთხილეთ, სად იქნებით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**8 ივნისი:** შესაძლოა, დღეს ბევრი შესაძლებლობა გამოგიჩნდეთ, მაგრამ ყველაფერს ერთად ნუ მოკიდებთ ხელს, დაიქანცებით და შედეგი არ გექნებათ. ძირითად საქმეს მიხედეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**8 ივნისი:** ძალიან ენერგიული იქნებით. შეეცადეთ, თავგადასავლების ძიებაში ავანტიურებში არ გაებათ, შესაძლოა, იღბალმა გიღალატოთ.

**ლომი 23.07-22.08**

**8 ივნისი:** ბევრი შესაძლებლობა მოგეცემათ და ამის ხელიდან გაშვება არ შეიძლება, არ დაემალოთ თქვენს შანსს, ინანებთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**8 ივნისი:** თქვენი დამოუკიდებლობისა და უკომპრომისობისთვის შეიძლება ვიღაცამ პრეტენზია წამოგიყენოთ. წინასწარ მოემზადეთ და სათანადო პასუხი გაეცით.

**სასწორი 23.09-22.10**

**8 ივნისი:** თქვენზე უკეთესად არავინ იცის, რა გჭირდებათ. ამიტომ არავის მისცეთ უფლება, თავის ჭკუაზე გატაროთ, ძალიან ახლობლებსაც კი.

**მორიელი 23.10-21.11**

**8 ივნისი:** თქვენთვისვე გასაოცრად, უმაქნისი აღმოჩნდებით. ამიტომ, არ გაგიკვირდეთ, თუკი ამის გამო პრეტენზიებს წამოგიყენებენ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**8 ივნისი:** თუ შეუპოვრად იმოქმედებთ და უკეთესობის იმედს არ დაკარგავთ, იღბალი არ მიგატოვებთ. შეეცადეთ, დიდი ალბათობით, გამოგივათ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**8 ივნისი:** თქვენი პირადი ცხოვრების საკითხებმა, შეიძლება ყველა პრობლემა დაჩრდილოს. შეიძლება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწიოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**8 ივნისი:** დროა, ვიღაცას აგრძნობინოთ, როგორი განძი ხართ. საკუთარი ღირსებების წარმოსაჩენად, კარგი შესაძლებლობა მოგეცემათ.

**თევზები 19.02-20.03**

**8 ივნისი:** შეიძლება ძალიან ლირიკულ განწყობაზე დადგეთ და ხვალ პასუხს ვერ მოძებნით, რატომ ჩაიდინეთ დღეს ესა თუ ის ქმედება.


**გაზეთი „ალია" სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას" რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)


## ბავშვისთვის მამის ყურადღება უფრო ფასეულია, ვიდრე დედის?



ეს ინფორმაცია ერთდროულად სასიამოვნოცაა მამაკაცებისთვის და სამწუხაროც. სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც ქალებში ფართოდ გავრცელებულ პოპულარულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება, რომ შვილებისთვის დედაა მთავარი. სამწუხარო კი იმიტომაა, რომ რაც არ უნდა სექსიზმში დაგვდონ ბრალი, ჩვეულებრივ, მამაკაცი გაცილებით ბევრს მუშაობს, ვიდრე ქალი და შესაბამისად, შვილს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს.

კონექტიკუტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების მხრივ, მამის ყურადღება და სიყვარული გაცილებით დიდ როლს თამაშობს, ვიდრე დედის. ასევე, მამის უყურადღებობა ბავშვს უფრო მეტად უკლავს გულს და აზარალებს, ვიდრე ეს დედის შემთხვევაში ხდება.

სანამ აღნიშნულ დასკვნას გამოიტანდნენ, ამერიკელმა სპეციალისტებმა ორივე სქესისა და სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების დაახლოებით 10 ათასი ადამიანის მონაცემები შეისწავლეს.

მიზეზად, რატომ აფასებს უფრო მეტად ბავშვი მამის სიყვარულს, სპეციალისტები იმას ასახელებენ, რომ ბევრ კულტურაში მამაკაცის მდგომარეობა გაცილებით პრესტიჟულია – ითვლება ოჯახის უფროსად, აქვს უფრო დიდი ავტორიტეტი, ვიდრე ქალს. ამდენად, ბავშვი მამის ყურადღებას აღიქვამს, როგორც მის აღიარებასა და დაფასებას.

***dr20.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მიხო გვიან დაბრუნდა სახლში, ცოლი რომ არ გაეღვიძებინა, სხვა ოთახში დაწვა. ცოტა ხანში ცოლის ყვირილმა გამოაღვიძა, მის ოთახში შევარდა და დაინახა, როგორ ისკუპა ვიღაცამ ფანჯრიდან.

– მიხო, ვიღაც კაცმა ორჯერ გამაუპატიურა.

– და პირველად რო გაუპატიურებდა, რატო მაშინ არ დაიყვირე?

– პირველად შენ მეგონე, მაგრამ აი, მეორედაც რო დამიწყო, ეგრევე მივხვდი, რომ შენ არ იყავი.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**გაზეთი „ალია"**

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი** (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე** 599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე** (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**



**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

მიხეილ სახვაძე

221 21 80

(შიდა ნომერი 110)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.50